პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 88 (10482)

შაბათი 14 აპრილი 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის პასუხი ინგლისური გაზეთის „ტაიმსის" კითხვებზე (1-ლი გვერდი).

მიმართვა კრემლში ახალგაზრდა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებისა კომკავშირელებს, ყველა ჭაბუკსა და ქალიშვილს, რომლებიც მშენებლობებზე, სამშენებლო მასალათა მრეწველობის, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის საწარმოებში მუშაობენ, მშენებლობის ახალგაზრდა არქიტექტორებს, ინჟინრებს და ტექნიკოსებს (1-ლი და მე-2 გვერდები).

ახალგაზრდა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირი (მე-2 გვერდი).

[illegible] ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ახალგაზრდა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1956 წლის 11 აპრილს (მე-2 და მე-3 გვერდები).

პავლე ალექსანდრეს-ძე ოდენის დაბადების (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# მ ი მ ა რ თ ვ ა

## კრემლში ახალგაზრდა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებისა

### კომკავშირელებს, ყველა ჭაბუკსა და ქალიშვილს, რომლებიც მშენებლობებზე, საშენ მასალათა მრეწველობის, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის საწარმოებში მუშაობენ, მშენებლობის ახალგაზრდა არქიტექტორებს, ინჟინრებს და ტექნიკოსებს

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ჩვენ ძევიკრიბეთ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, კრემლის სასახლის დარბაზში, სადაც ორი თვის წინათ მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, რომელმაც საბჭოთა ხალხი შეაიარაღა კომუნიზმისათვის ბრძოლის დიდებული პროგრამით. საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა მის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში დიდი როლი ეკუთვნით სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკებს. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუწყვეტელ ყურადღებას აქცევენ სამშენებლო მრეწველობის განვითარებას, რომელიც ჩვენი სახალხო მეურნეობის უდიდეს დარგად გადაიქცა.

სამშენებლო მრეწველობის აღმავლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ახალგაზრდობა. ჩვენს ქვეყანაში ყველა მშენებლის ნახევარზე მეტი არიან კომკავშირელები, ჭაბუკები და ქალიშვილები. ახალგაზრდობა მხურვალედ გამოეხმაურა ლენინური კომკავშირის მოწოდებას სამუშაოდ წასულიყო ასაწყობი რკინაბეტონის საწარმოთა მშენებლობაზე. კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით 1955 წელს ამუშავდა რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოების 450 ქარხანა, საამქრო და პოლიგონი. 100 ათასზე მეტი კომკავშირელი, ჭაბუკი და ქალიშვილი თავდადებით შრომობს ახალი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაზე. რვა ათასზე მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა კომკავშირული საგზურებით მუშაობს რკინიგზების მშენებლობაზე ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში. ბევრი ახალგაზრდა პატრიოტი შეემატა კუიბიშევის, სტალინგრადის, გორკის ჰიდროელექტროსადგურებისა და ჩვენი ქვეყნის სხვა დიდ მშენებლობათა მშენებლების რიგებს.

სამშენებლო ინდუსტრიის ყველა დარგში გაიზარდნენ ახალგაზრდა მუშების, წარმოების ნოვატორების, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა კვალიფიციური კადრები, რომლებიც სრულყოფილად დაეუფლნენ სამშენებლო ტექნიკას, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების დაწესებულ ნორმებს, გვიჩვენებენ შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებს.

მაგრამ ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ მშენებლობაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლია. ბევრი სამშენებლო ორგანიზაცია ვერ ასრულებს დაწესებულ გეგმებს, დროზე არ გადასცემს საექსპლოატაციოდ შენობებსა და ნაგებობებს, ვერ ასრულებს შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალებებს, ცუდად იყენებს სამშენებლო მანქანებსა და მექანიზმებს. ბევრ მშენებლობაზე ურიგდებიან ზარალს და უნაყოფო ხარჯებს, აგრეთვე სამუშაოთა დაბალ ხარისხს.

ახალ, მეექვსე ხუთწლედში მშენებლებმა უნდა გადაჭრან გრანდიოზული ამოცანები. კაპიტალდაბანდებათა საერთო თანხა შეადგენს 990 მილიარდ მანეთს, რაც მეტია, ვიდრე ერთად აღებულ მეოთხე და მეხუთე ხუთწლედებში. ჩვენს ქვეყანაში აშენდება ახალი სამრეწველო საწარმოები, ელექტროსადგურები, შახტები, მაღაროები, ქალაქები, დაბები, საბჭოთა მეურნეობები, საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები, კლუბები, გაყვანილ იქნება ახალი რკინიგზები, გზატკეცილები და მილსადენები.

ამჟამად ჩვენი მთავარი ამოცანაა ბრძოლა მეექვსე ხუთწლედის და პირველ რიგში 1956 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. ჩვენ მოვუწოდებთ კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, რათა ყოველმა ბრიგადამ, უბანმა, სამმართველომ და საწარმომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს გეგმები და დავალებები.

მთელი მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისა და მისი ძირეული გაუმჯობესების გადამწყვეტი პირობაა შემდგომი ინდუსტრიალიზაცია და განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესი. ამას ნათლად ადასტურებს გამოცდილება მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ამურის კომსომოლსკის, ნოვოკუიბიშევსკისა და სხვა ქალაქების მშენებელთა მოწინავე კოლექტივებისა, რომლებიც შენობებს აგებენ ასაწყობი კონსტრუქციებისაგან და მარჯვედ იყენებენ სამშენებლო ტექნიკას.

ჩვენ მოვუწოდებთ კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას იბრძოლონ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე გადააქციონ სამშენებლო მოედნები სამონტაჟო მოედნებად, გაადიდონ ასაწყობი, უწინარეს ყოვლისა, რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოება, განახორციელონ შრომატევადი პროცესების ფართო მექანიზაცია.

ასაწყობი რკინაბეტონის ქარხნების, საამქროებისა და პოლიგონების ახალგაზრდა მუშებო, აქტიურად ჩაებით კოლექტივთა სოციალისტურ შეჯიბრებაში ასაწყობი რკინაბეტონის წარმოების შესახებ პარტიისა და მთავრობის დავალების ვადამდე შესრულებისათვის, ეცადეთ მიაღწიოთ ქარხნებისა და საამქროების რიტმულ მუშაობას, მათს სპეციალიზაციას ერთი ტიპის ნაკეთობათა წარმოებისათვის, იბრძოლეთ საწარმოო ფართობებისა და მოწყობილობის რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენებისათვის.

ასაწყობი რკინაბეტონის საწარმოთა ახალგაზრდა მშენებლებო! გავაკეთოთ ყოველივე, რაც საჭიროა, რათა უფრო სწრაფად ავაშენოთ რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ქარხნები, ვადამდე ავამუშაოთ ისინი.

მშენებლობაში აწყობისუნარიანობის გადიდების დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა კედლის ბლოკების, პანელების, საძგიდე ფილებისა და სხვა ეფექტიანი სამშენებლო კონსტრუქციების წარმოების განვითარება. აქტიურად ვიბრძოლოთ ამ პროგრესული კონსტრუქციების წარმოებისა და თვითეულ მშენებლობაზე მათი დანერგვისათვის და ამით დავზოგოთ ასეულ მილიონობით მანეთი სახალხო სახსრები.

ბევრი მშენებლობის ქალიშვილები და ჭაბუკები დიდი აქტიურობით ეუფლებიან ახალ სამშენებლო ტექნიკას, გვიჩვენებენ მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშს. ექსკავატორთა მემანქანეები ვასილ ლიამინი, ვიქტორ ივანოვი, ალექსი სერედინი და სხვები მანქანების კარგი მოვლისა და მათი მარჯვედ გამოყენების მეოხებით ერთნახევარ-ორ ნორმებს ასრულებენ.

მივბაძოთ ჩვენი ქვეყნის მოწინავე მექანიზატორთა მაგალითს და მტკიცედ დავეუფლოთ სამშენებლო მანქანებს, მექანიზმებს, ვიბრძოლოთ მათი დღიურ წარმადობით მუშაობისათვის, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ თვითეული ექსკავატორის, ამწის, სკრეპერის ნორმები, ვებრძოლოთ ტექნიკის მოცდენას. ჩვენი ვალია უზრუნველვყოთ, რომ ყველა სამშენებლო მანქანა და მექანიზმი საუკეთესო მდგომარეობაში გვქონდეს, გამოვიყენოთ ისინი მთელი სიმძლავრით.

ჩვენ მოვუწოდებთ სამშენებლო მანქანათმშენებლობის მუშაკებს გააუმჯობესონ გამოშვებული მანქანებისა და მექანიზმების ხარისხი, გაადიდონ მექანიზებული ინსტრუმენტის, აგრეთვე სხვადასხვა სამშენებლო მოწყობილობისა და სამარჯვის გამოშვება.

დიდი ლენინი გვასწავლის, რომ შრომის ნაყოფიერება ყველაზე მთავარი და ყველაზე დიდმნიშვნელოვანია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის. მეექვსე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში სულ ცოტა 52 პროცენტით უნდა გადიდდეს.

[illegible]

შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და ხელფასის ზრდას ხელს უწყობს მუშაობის მოწყობა კომპლექსური ბრიგადებით. უფრო ფართოდ გაავრცელეთ კომპლექსური ბრიგადების გამოცდილება, ყოველდღიურად შეისწავლეთ და დანერგეთ წარმოების ნოვატორთა მუშაობის მეთოდები. შრომის მოწინავე მეთოდებს უნდა დაეუფლოს ყველა ახალგაზრდა მშენებელი.

კომუნისტურმა პარტიამ მშენებლებს დაუსახა ამოცანა — მეექვსე ხუთწლედში სულ ცოტა შვიდი პროცენტით შეამცირონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციის გაუმჯობესებით, შრომის ნაყოფიერების გადიდებით და ზედნადები ხარჯების შემცირებით. ეს შესაძლებლობას მისცემს მათ საერთოდ 30 მილიარდზე მეტი მანეთით შეამცირონ მშენებლობის ხარჯები.

ბევრმა ახალგაზრდა მშენებელმა უკვე მოიპოვა სერიოზული წარმატებანი მშენებლობის ღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში. მაგალითად, კიევის ბინათმშენებლობის ტრესტის ნიკოლოზ სკრიპნიკის ბრიგადის ახალგაზრდა მუშებმა მარტო რვასართულიანი შენობის მშენებლობაზე დაზოგეს 150 ათას მანეთზე მეტი. იმ წინადადებათა განხორციელებით, რომლებიც ლენინის ორდენოსან ტრესტ „აზოვსტალსტროის" კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირმა ივანე კორობენკომ შეიტანა, ეკონომიამ 1955 წელს 73 ათასი მანეთი შეადგინა.

სამწუხაროდ, არის ბევრი ისეთი ახალგაზრდა მშენებელი და კომკავშირელიც კი, რომლებიც შეურიგდნენ ნაკლოვანებებს, მომჭირნეობით არ ხარჯავენ ხე-ტყის მასალებს, ლითონს, ცემენტს, აგურს.

ჩვენ მოვუწოდებთ ახალგაზრდა მშენებლებს შეისწავლონ სამშენებლო წარმოების ეკონომიკა, გააჩაღონ აქტიური ბრძოლა სახალხო სახსრების ეკონომიისათვის, იყვნენ სამეურნეო ანგარიშის ბრიგადების მოწყობის ინიციატორები. ფართოდ უნდა გავავრცელოთ მოწინავე მშენებელთა გამოცდილება, რომელნიც აღრიცხავენ დახარჯული საშენი მასალის რაოდენობას თვითეული ბრიგადის მიხედვით. გახსოვდეთ, რომ, მაგალითად, მშენებლობის ღირებულების შემცირება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა იმ მოცულობის მხოლოდ 1 პროცენტით, რაც დაგეგმილია მეექვსე ხუთწლედისათვის, შეადგენს დაახლოებით 6 მილიარდ მანეთს, ე. ი. ისეთ თანხას, რომელიც საკმარისია, რომ აშენდეს კეთილმოწყობილი ქალაქი 200 ათას კაცზე მეტი მოსახლეობით.

მშენებელთა ერთ-ერთი დიდი ამოცანაა ბრძოლა მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. რა სასიამოვნო და სასიხარულო სანახავია ქალაქისა თუ დაბის ქუჩაზე შენობათა ლამაზად და სადად მოპირკეთებული ფასადები, კარგად ნაშენი სამრეწველო ნაგებობანი, გემოვნებით, ადამიანისათვის ზრუნვით გაკეთებული საცხოვრებელი ბინა. მაგალითად, ქალაქ მინსკის მშრომელები კეთილად იგონებენ მიხეილ გუდას შემლესავთა კომკავშირულ ახალგაზრდულ ბრიგადას. ყველა სამშენებლო ობიექტმა, სადაც ეს ახალგაზრდათა კოლექტივი მუშაობდა, ჩინებული შეფასება მიიღო. ასეთი მაგალითი ბევრია.

მაგრამ ბევრი ახალგაზრდა მშენებელი დაუდევრად აწარმოებს მოპირკეთებას, გვერდს უვლის ისეთ ფაქტებს, რომ შენობებსა და ნაგებობებს დიდი ნაკლოვანებებით გადასცემენ საექსპლოატაციოდ.

ჩვენ აღარ უნდა შევურიგდეთ მშენებლობის დაბალ ხარისხს. ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა, ყველა ახალგაზრდა მშენებელმა უნდა აწარმოონ ბრძოლა იმისათვის, რომ საექსპლოატაციოდ გადაცემული თვითეული შენობა შეფასებულ იქნას მხოლოდ „კარგზე" და „ფრიადზე".

ჩვენ მოვალენი ვართ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ საბინაო მშენებლობის პროგრამის წარმატებით განხორციელებას. ხუთწლიანი გეგმის მიხედვით ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო სახსრებით აშენდება 205 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა პარტიისა და მთავრობის იმ პროგრამის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უაღრესად დიდი ყურადღება მივაქციოთ საბინაო მშენებლობას, მივაღწიოთ იმას, რომ ვადამდე გადავცეთ საექსპლოატაციოდ საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო დაწესებულებანი თანაზომიერად მთელი წლის განმავლობაში. გავაკეთოთ ყველაფერი, რათა აგებულ შენობებში მეტი მოხერხებულობა იყოს საბჭოთა ადამიანისათვის, რათა ეს შენობები იყოს მკვიდრი, ეკონომიური, ლამაზი.

ახალგაზრდა არქიტექტორებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ შენობათა და ნაგებობათა დაპროექტების ხარისხი, უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ტიპური პროექტების შემუშავებასა და დანერგვაში, გამოიყენონ ყველაზე ეკონომიური გადაწყვეტა, მიაღწიონ მაქსიმალურ აწყობისუნარიანობას დეტალების ფართო ტიპიზაციის საფუძველზე, აგრეთვე იმას, რომ თავის დროზე უზრუნველყოფილ იქნან სამშენებლო ორგანიზაციები კომპლექტური და კარგი ხარისხის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით. საპროექტო ორგანიზაციების ახალგაზრდობამ უნდა განამტკიცოს კავშირი მშენებლობებთან, შეურიგებელი ბრძოლა აწარმოოს დაპროექტებასა და მშენებლობაში ზედმეტობის წინააღმდეგ.

მშენებლობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული საშენი მასალების მრეწველობის მუშაკებზე, რომლებმაც შეუფერხებლად უნდა უზრუნველყონ მშენებლობები მაღალხარისხოვანი, ეფექტიანი და იაფი საშენი მასალებით. თვითეულმა მშენებელმა იცის, რომ ცემენტი სამშენებლო მრეწველობის პურია. თუ ცემენტის ყველა ქარხანაში საბრუნავი ღუმელების მემანქანეები გამომუშავებას მოწინავე მემანქანეთა დონემდე გაადიდებენ, ჩვენი ქვეყანა დამატებით მიიღებს წელიწადში ნახევარ მილიონ ტონაზე მეტ ცემენტს.

პარტიამ დასახა ამოცანა — რაც შეიძლება სწრაფად ჩავაყენოთ მწყობრში ცემენტის ახალი ქარხნები. ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ჩაებით სოციალისტურ შეჯიბრებაში ცემენტის წარმოების გადიდებისათვის, ცემენტის ქარხნების მშენებლობის ვადამდე დამთავრებისათვის. შევიტანოთ ჩვენი ღირსეული წვლილი ცემენტის მრეწველობის სიმძლავრეთა გაზრდის საერთო საქმეში.

დიდმნიშვნელოვანი საქმეა აგურის გამოშვების გადიდება მოქმედ საწარმოებში. აი ამიტომ აგურის ყველა ქარხანაში უნდა მივაღწიოთ გამომწვის ოსტატის ამხ. დუვანოვის მეთოდის ფართოდ გამოყენებას, რაც საშუალებას მოგვცემს თითქმის ერთიორად გავადიდოთ აგურის წარმოება. ახალგაზრდა მუშებო, გამოვიყენოთ ნიჟნი-კოტელსკისა და ნიკოლსკის აგურის ქარხნების მოწინავე კოლექტივთა გამოცდილება, რომლებმაც მიაღწიეს იმას, რომ ღუმელის არხის ერთ კუბურ მეტრ მოცულობაზე იღებენ 2.300-2.500 ცალ აგურს, ვიყოთ აგურის ქარხნებში შრომის სხვა მოწინავე მეთოდების დანერგვის ინიციატორებიც.

ჩვენს სამშობლოს სხვადასხვა ადგილობრივი საშენი მასალის აურაცხელი მარაგი მოეპოვება. საშენი მასალების მრეწველობის საწარმოთა ახალგაზრდა მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები უნდა იბრძოდნენ საშენი მასალების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მათი თვითღირებულების შემცირებისათვის.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა იუწყება, რომ

**საზოგადოების მეორე ყრილობა**

გაიხსნება ა. წ. 16 აპრილს საღამოს 6 საათზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 29).

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს საზოგადოების გამგეობის შენობაში (ჯაფარიძის ქ. № 4, მეორე სართული) 15 აპრილს დილის 10 საათიდან დღის 3 საათამდე, 16 აპრილს დილის 9 საათიდან დღის 5 საათამდე.

ტელეფონები: 3-23-86, 3-12-93.

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის პასუხი ინგლისური გაზეთის „ტაიმსის" კითხვებზე

ინგლისურმა გაზეთმა „ტაიმსმა" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ა. ბულგანინს მიმართა თხოვნით პასუხი გაეცა ზოგიერთ კითხვაზე ნ. ს. ხრუშჩოვისა და ნ. ა. ბულგანინის ინგლისში მომავალ გამგზავრებასთან დაკავშირებით.

ქვემოთ ქვეყნდება გაზეთ „ტაიმსის" კითხვები და ნ. ა. ბულგანინის პასუხი.

**კითხვა:** რა არის ინგლისში გამგზავრების მიზანი?

**პასუხი:** ნ. ს. ხრუშჩოვი და მე ვესტუმრებით ინგლისს დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიწვევით. ჩვენ განზრახული გვაქვს ინგლისში ყოფნის დროს განვიხილოთ საკითხები, რომლებიც აინტერესებს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს ორივე ქვეყანას. წინასწარ ვერ ვიტყვით, რა შედეგებს მოველით ჩვენი მოლაპარაკებისაგან ინგლისის მთავრობასთან, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ქვეყნის ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა პირადი კონტაქტები ეფექტიანი საშუალებაა ძნელ და სადავო საკითხებზე ურთიერთგაგების მისაღწევად. შეიძლება გავიხსენოთ, მაგალითად, რა კეთილნაყოფიერი როლი შეასრულა ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა პირადმა კონტაქტებმა ავსტრიის საკითხის გადაჭრაში, იუგოსლავიასთან სსრ კავშირის მეგობრული ურთიერთობის აღდგენაში, აზიის მთელ რიგ ქვეყნებთან სსრ კავშირის მეგობრული ურთიერთობის განვითარებასა და ბევრ სხვა შემთხვევაში. მოლაპარაკება ამა თუ იმ საერთაშორისო საკითხის მოწესრიგების ყველაზე უკეთესი საშუალებაა, რასაც გვიკარნახებს ჩვენი დროის გამოცდილება.

**კითხვა:** ხელს შეუწყობს თუ არა გამგზავრება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეს?

**პასუხი:** ჩვენ ამის იმედი გვაქვს და ჩვენი მხრივ ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ ჩვენმა ვიზიტმა ინგლისში ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. საბჭოთა კავშირის მთავრობა და ხალხები ემყარებიან იმას, რომ თავიანთ ურთიერთობაში დიდი სახელმწიფოები უნდა ხელმძღვანელობდნენ მათთვის საერთო ინტერესებით, რომ მათი მთავარი საზრუნავია არ დაუშვან ახალი ომი და დაამყარონ ნორმალური, კარგი ურთიერთობა ყველა ქვეყანას შორის.

თუ იქნება ჯეროვანი საპასუხო მისწრაფება დაძაბულობის შენელების მიღწევისადმი, ჩვენი მოგზაურობა, ეჭვი არ არის, დადებითს შედეგებს მოგვცემს.

**კითხვა:** საზღვარგარეთ გაიგონებთ აზრს, რომ ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში მოგზაურობის დროს გაკეთებული განცხადებანი ეწინააღმდეგებიან ახლა გამოთქმულ აზრებს ინგლისთან მეგობრობის შესახებ. ხომ არ ინებებთ გამოთქვათ თქვენი აზრი ამის შესახებ?

**პასუხი:** საბჭოთა კავშირი ისწრაფვის ინგლისთან, საფრანგეთთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, აგრეთვე ყველა სხვა ქვეყანასთან ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ, მიაჩნია რა, რომ ხალხებს შორის კარგი ურთიერთობა და მეგობრობა იწვევს მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას. ხოლო მშვიდობის განმტკიცებით არანაკლებ, ვიდრე საბჭოთა ადამიანები, დაინტერესებული არიან ინგლისელები, ფრანგები, ამერიკელები, ყველა ქვეყნის ხალხები.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ურყევი პრინციპია ყველა ქვეყანასთან, მათ შორის ინგლისთან, მეგობრობისა და მეტი ურთიერთგაგების დამყარების პოლიტიკა. საბჭოთა ხალხი მუდამ პატივისცემით ეკიდებოდა ინგლისელ ხალხს და გულწრფელად სურს მეგობრული ურთიერთობა იქონიოს მასთან. მხოლოდ სიმართლის საწინააღმდეგოდ შეიძლებოდა იმის მტკიცება, რომ ინდოეთში, ბირმასა და ავღანეთში საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწეების ვიზიტის დროს გაკეთებული განცხადებანი მიმართული იყო სსრ კავშირსა და ინგლისს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების წინააღმდეგ.

**კითხვა:** საზღვარგარეთ გაიგონებთ აზრს, რომ ინგლისში გამგზავრების მიზანია უთანხმოების ჩამოგდება ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ხომ არ ინებებთ გამოთქვათ თქვენი აზრი ამის შესახებ?

**პასუხი:** როდესაც საბჭოთა კავშირს სურს დაამყაროს კარგი, მეგობრული ურთიერთობა რომელიმე ქვეყანასთან, მას არ სჭირდება ის, რომ ამ უკანასკნელმა უარყოს მეგობრობა რომელიმე სხვა ქვეყანასთან. ჩვენს ქვეყანას სურს მეგობრობა ინგლისის მეგობრებთანაც, და ჩვენ არ გვჭირდება დავაკარგვინოთ ინგლისს მისი მეგობრები.

საბჭოთა მთავრობა ცდილობს დაამყაროს მეგობრული ურთიერთობა ინგლისთან, ისევე როგორც საფრანგეთთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სხვა ქვეყნებთან. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა ყველა ქვეყანასთან ასეთი ურთიერთობის დამყარებას მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის, საბჭოთა მთავრობა, როგორც ცნობილია, ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ გააუმჯობესოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაც. ეს სურთ საბჭოთა ხალხსაც და ამერიკის ხალხსაც, და არ არსებობს მიზეზები, რომელთა აღმოფხვრაც არ შეიძლებოდეს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების მიზნით.

**კითხვა:** როგორია ინგლისსა და სსრ კავშირს შორის ვაჭრობის გაფართოების შესაძლებლობანი, და უნდა მოველოდეთ თუ არა, რომ ინგლისში გამგზავრება ხელს შეუწყობს ამას? ორივე ქვეყნისათვის ურთიერთსასარგებლო იქნებოდა თუ არა ვაჭრობის გაფართოება?

**პასუხი:** ვაჭრობა სჯობს დაშორებას და მით უფრო მტრობას ქვეყნებს შორის. სსრ კავშირსა და ინგლისს შორის ფართო ვაჭრობა დიდმნიშვნელოვანი სტიმული იქნებოდა თანამშრომლობის განვითარებისათვის სხვა დარგებშიც.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაფართოების შესაძლებლობებს, ისინი ფრიად საკეთილოა. საბჭოთა მთავრობა მზად არის მნიშვნელოვნად გააფართოოს ინგლის-საბჭოთა ვაჭრობა თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის საფუძველზე როგორც იმ სახეობათა საქონლით, რომლის ექსპორტსაც ჩვეულებრივ აწარმოებს ამჟამად, ისე ახალი ნომენკლატურის საქონლით. თუ მოისპობა ასეთი ვაჭრობის დაბრკოლებები, როგორიც არის სხვადასხვა შეზღუდვა, რომლებიც ჩვენ როდი შემოგვიღია და რომლებიც წარსულის უცნაურ ანაქრონიზმს წარმოადგენენ, ურთიერთსარგებლობა ამით საკმაოდ საგრძნობი იქნება. ვაჭრობის გაფართოება, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობდა არა მარტო ორივე ქვეყნის ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას, არამედ პოლიტიკური ჰორიზონტის გადაწმენდასაც.

**კითხვა:** პრემიერ-მინისტრმა იდენმა ვიზიტის მიზანი შემდეგნაირად განსაზღვრა: „სადავო საკითხების განხილვა, ცდა, რომ გამოინახოს საერთო ენა". მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ „საერთო ენა" შეიძლება გამოინახოს?

**პასუხი:** რაც შეგვეხება ჩვენ, საბჭოთა მთავრობას სურს მიღწეულ იქნას ურთიერთგაგება და ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე შეხედულებებისა და პოზიციების დაახლოება, შეიქმნას ჩვენს ქვეყნებს შორის ნდობის ატმოსფერო და ამით ხელი შეეწყოს სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობდა მშვიდობის განმტკიცებას ევროპაში და დედამიწის სხვა ნაწილებში. შეხვედრის ასეთი შედეგისათვის საკმაო საფუძვლები მოიპოვება, და ყველაფერი დამოკიდებული იქნება ორივე მხარის ჯეროვან მზადყოფნაზე — გამონახონ პოზიციების დაახლოებისა და შეთანხმების გზა იმ საკითხებზე, რომლებიც ურთიერთ განხილვის საგანი იქნება.

თანხმობის მიღწევა ნიშნავს გარკვეულ სიძნელეთა გადალახვას, ხოლო ჩვენ სიძნელეები არასოდეს არ მიგვაჩნდა გადაულახავ დაბრკოლებად, თუ ორივე მხარე მოლაპარაკებას საფუძვლად დაუდებს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს და გაითვალისწინებს ურთიერთ ინტერესებს ყველა ხალხის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

**კითხვა:** როგორია ის მთავარი საკითხები, რომლებიც განხილულ უნდა იქნას ბრიტანეთის ლიდერებთან?

**პასუხი:** მხარეები განიხილავენ იმ საკითხებს, რომელთა აღძვრასაც მოისურვებენ შეხვედრის მონაწილენი. შეიძლება მხოლოდ წინასწარ ითქვას, რომ არ იქნება განხილული ისეთი საკითხები, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ მიაყენებენ ზიანს ამა თუ იმ ქვეყანას, რომელიც არ იღებს მონაწილეობას საბჭოთა კავშირისა და ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეთა საუბრებში. გათვალისწინებულია განხილულ იქნას უწინარეს ყოვლისა საკითხები, რომლებიც შეეხება ჩვენს ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებას და სსრ კავშირსა და ინგლისს შორის თანამშრომლობის გაფართოებას, აგრეთვე ზოგიერთი სხვა საერთაშორისო პრობლემა, რომელთა მოწესრიგება ხელს შეუწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებასა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

# მიმართვა კრემლში ახალგაზრდა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებისა

**კომკავშირელებს, ყველა ჭაბუკსა და ქალიშვილს, რომლებიც მშენებლობებზე, საშენ მასალათა მრეწველობის, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის საწარმოებში მუშაობენ, მშენებლობის ახალგაზრდა არქიტექტორებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს**

(დასასრული)

ამხანაგებო!

მშენებლის პროფესია დიდმნიშვნელოვანი და საპატიო პროფესიაა. იგი ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობა გახდა და ახლა მაღალ კვალიფიკაციასა და დიდ ცოდნას მოითხოვს. ამიტომ თვითეული ახალგაზრდა მშენებელი სრულყოფილად უნდა დაეუფლოს თავის პროფესიას, ბეჯითად ისწავლოს. მივაღწიოთ იმას, რომ უახლოეს ხანში თვითეულმა ახალგაზრდა მუშამ აიმაღლოს კვალიფიკაცია სულ ცოტა 1-2 თანრიგით. შევქმნათ მშენებლობებზე ტექნიკური კუთხეები და კაბინეტები.

ჩვენში არის შემთხვევები, რომ ცალკეული ახალგაზრდა მუშები არღვევენ შრომითს და საწარმოო დისციპლინას. ახალგაზრდა მშენებელთა ერთი ნაწილი, სიძნელეებს რომ წააწყდება, უკან იხევს და ტოვებს წარმოებას. ჩვენ შეგნებულად უნდა ვეკიდებოდეთ შრომას წარმოებაში, ვცდილობდეთ, რომ ახალგაზრდა მუშები, მშენებლობაზე რომ მოვლენ, გარემოსილი იყონ ყურადღებითა და მზრუნველობით, ემზადებოდნენ გახდნენ მაღალკვალიფიციური მუშები. მოვუწოდებთ ახალგაზრდობას მოჰკიდოს ხელი საერთო საცხოვრებლების კეთილმოწყობას, ისე მოაწყოს საქმე, რომ თვითეულ საერთო საცხოვრებელში შეიქმნას კარგი პირობები დასვენების, სწავლისა და კულტურული გართობისათვის.

ქალიშვილებო და ჭაბუკებო! წარმტაცი პერსპექტივები იქმნება ჩვენს წინაშე მშენებლობაში, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. თვითეული ქალიშვილისა და ჭაბუკისათვის დიდი პატივი და სიამაყეა მიიღოს მონაწილეობა მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურების, შახტების, ახალი ქარხნების, რკინიგზების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობაში. ძვირფასო მეგობრებო! მოხარული ვიქნებით განხოთ დიდებულ მშენებლობებზე და მოგიწოდებთ შეუერთდეთ მშენებელთა სახელოვან ოჯახს.

ყველა ახალგაზრდა მშენებელი, კომკავშირელი, ქალიშვილი და ჭაბუკი დაინტერესებულია კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებით. ისინი მებრძოლურად უნდა ჩაუდგნენ სათავეში ახალგაზრდების შეჯიბრებას 1956 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, გააჩაღონ ბრძოლა სამშენებლო სამუშაოთა ინდუსტრიალიზაციისა და მექანიზაციისათვის, მშენებლობის ვადების შემოკლებისათვის, მისი ღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის; გაცილებით უკეთ და აქტიურად იმუშაონ ახალგაზრდა მშენებელთა შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობის საკითხებზე, უფრო მეტად იზრუნონ ახალგაზრდობის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, მისი აღზრდისა და კულტურული დასვენებისათვის.

ძვირფასო მეგობრებო! კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი საქმიანობის მიზანია მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება, საბჭოთა ადამიანის მუდმივად მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

კომკავშირელები და ახალგაზრდობა, შეიკრიბნენ რა სრულიად საკავშირო თათბირზე, ახალგაზრდა მშენებელთა მილიონიანი არმიის სახელით აცხადებენ, რომ პარტიისა და მთავრობის ზრუნვის პასუხად არ დაიშურებენ ძალასა და ენერგიას, რათა წარმატებით შეასრულონ კაპიტალური მშენებლობის ამოცანები, შემდგომ აამაღლონ სამშენებლო ინდუსტრია. მშენებლობებზე ახალგაზრდობის შრომას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩვენი, არამედ მომავალი თაობებისთვისაც.

მაშ, მეგობრებო, კიდევ უფრო აქტიურად, კომკავშირული თავგამოდებითა და ენერგიით მოვკიდოთ ხელი საქმეს.

# ლექციები, მოხსენებები, საუბრები ვ. ი. ლენინის შესახებ

საქართველოს დედაქალაქ თბილისის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ემზადებიან ფართოდ აღნიშნონ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა გენიალური ბელადისა და მასწავლებლის, კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის ვ. ი. ლენინის დაბადების 86-ე წლისთავი.

მშრომელთა დიდ ინტერესს იწვევს შემდეგი ლექციები, მოხსენებები, საუბრები ლენინის შესახებ, რომლებიც ეწყობა საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში: „ვ. ი. ლენინი — კომუნისტური პარტიის დამაარსებელი და ბელადი", „ვ. ი. ლენინი — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორი და ხელმძღვანელი", „ვ. ი. ლენინი — რევოლუციური მეცნიერების კორიფე", „სსრ კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების ლენინური გეგმა და საბჭოთა ხალხის ბრძოლა მისი განხორციელებისათვის", „ვ. ი. ლენინი შრომის ნაყოფიერების, როგორც კომუნიზმის გამარჯვების გადამწყვეტი პირობის განუხრელი ზრდის შესახებ", „ვ. ი. ლენინი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების ძირითადი წყაროს შესახებ", „საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა ლენინიზმის იდეების განხორციელებაა", „ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია", „ლენინიზმი და სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნების გადასვლის ფორმების თავისებურება", „კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალაა კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში", „ხელმძღვანელობის კოლექტიურობის ლენინური პრინციპი და მისი განხორციელება კომუნისტური პარტიის საქმიანობაში", „ვ. ი. ლენინი ხალხის, როგორც ისტორიის შემოქმედის და ახალი სოციალისტური ცხოვრების შემქმნელის შესახებ", „ლენინიზმი მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლის დროშაა", „ლენინიზმი კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის დროშაა". (საქინფორმი).

# ახალგაზრდობავ, ახალი გმირობისათვის, საბჭოთა სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ახალგაზრდა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1956 წლის 11 აპრილს

ამხანაგებო! კარგი ინიციატივა გამოიჩინა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, ახალგაზრდა მშენებელთა ეს თათბირი რომ მოიწვია.

კომკავშირი მუდამ იყო და ახლაც არის ჩვენი პარტიის ერთგული თანაშემწე და მძლავრი რეზერვი. კომკავშირი ყოველთვის მხურვალედ ეხმაურებოდა ყველა ღონისძიებას, რომლებსაც პარტია ახორციელებდა, გაბედულად მიდიოდა ბრძოლის უაღრესად პასუხსაგებ და ძნელ უბნებზე და ღირსეულად ასრულებდა თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე.

გაიხსენეთ, ამხანაგო კომკავშირელებო, როგორ იბრძოდნენ სამოქალაქო ომის წლებში თქვენი მამები, ხოლო ზოგიერთისათვის, შეიძლება ითქვას, პაპებიც, რომლებიც მაშინ კომკავშირელები იყვნენ, რა თავდადებით შრომობდნენ ისინი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის წლებში, აშენებდნენ ფაბრიკებს, ქარხნებს, მთელ ქალაქებს, როგორ მუშაობდნენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წლებში! ისინი შრომობდნენ უდიდესი დაძაბულობით, მთელ ძალებს ახმარდნენ თავიანთი სოციალისტური სახელმწიფოს განმტკიცებას, იბრძოდნენ მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა საქმისათვის, ჩვენი კომუნისტური პარტიის დიადი საქმისათვის.

კომკავშირმა, საბჭოთა ახალგაზრდობამ ღირსეულად გამოიჩინეს თავი დიდი სამამულო ომის დროს როგორც ფრონტებზე, ისე ზურგში. უდიდესი წვლილი შეიტანა საბჭოთა ახალგაზრდობამ ომის დროს დანგრეული ჩვენი ქალაქებისა და სოფლების აღდგენის საქმეში, ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში, ქალაქებისა და ქარხნების მშენებლობაში. კომკავშირმა აქტიურად დაუჭირა მხარი პარტიის მოწოდებას და ყამირი მიწების ათვისებლად გაგზავნა ასეულათასობით თავისი საუკეთესო შვილი. ჩვენი საბჭოთა ადამიანების ბეჯითი შრომის მეოხებით მილიონობით ჰექტარი წინათ მიტოვებული მდიდარი მიწები ახლა ჩაყენებულია ჩვენი სოციალისტური საზოგადოების სამსახურში. პარტიის მოწოდებით საბჭოთა ადამიანები დაირაზმნენ ყამირი მიწების ათვისების დიადი საქმისათვის. ამ საქმეში თაოსნები იყვნენ ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდა პატრიოტები.

ამხანაგებო! პარტიის მეოცე ყრილობაზე ამ ტრიბუნიდან გამოთქმული იყო მადლობა ახალგაზრდობის გულისხმიერების გამო, მისი თავდადებული შრომის გამო. საბჭოთა ახალგაზრდობა ასეთი ქებისა და მაღალი შეფასების ღირსია. იმედი გვაქვს, რომ კომკავშირი, ჩვენი სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობა კიდევ არაერთგზის ასეთივე მხურვალე აღფრთოვანებით გამოეხმაურებიან კომუნისტური პარტიის მოწოდებას, საბჭოთა მთავრობის მოწოდებას, რომელიც მიმართულია ახალგაზრდობისა და მისი სახელოვანი ავანგარდისადმი — კომკავშირისადმი. (მქუხარე ტაში).

გიგანტური ამოცანებია დასახული ჩვენი ქვეყნის წინაშე მეექვსე ხუთწლედში. ახლა რომ ჩვენს შორის მაიაკოვსკი იყოს, იგი, უეჭველია, კარგად გამოთქვამდა თავისი ლექსით საბჭოთა კავშირის მეექვსე ხუთწლედის დავალებათა მთელ სიდიადეს.

თქვენ, ახალგაზრდა მუშებს, სწორედ ახალგაზრდა მუშებს გეუბნებით ამას. უკანასკნელ დროს ახალგაზრდობის ერთ ნაწილში თავი იჩინა არასწორმა შეხედულებამ შრომაზე ჩვენს საბჭოთა საზოგადოებაში. ეს გამოიხატება, მაგალითად, ასეთი ფაქტებით. ზოგიერთი ჭაბუკი და ქალიშვილი, დაამთავრებს რა ათწლედს, ამბობს: ახლა ჩვენ, განათლებულ ადამიანებს, არ შეგვფერის წავიდეთ ქარხანაში, სამშენებლო მოედანზე, საბჭოთა მეურნეობაში ან კოლმეურნეობაში. და აი ასეთი განათლებული ადამიანები არ დაფიქრდებიან იმაზე, რომ ცხოვრობენ სახლში, რომელიც ააშენეს მშენებელმა მუშებმა, რომ მათი მამები მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში, რომ ისინი ჭამენ პურს, რომელიც საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მოიყვანეს ჩვენმა საბჭოთა ადამიანებმა, დაუღალავმა მშრომელებმა.

როგორც ჩანს, ამაში დამნაშავე არიან არა მარტო ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც ასე მსჯელობენ, არამედ ზოგი ვინმე უფროსი თაობის ადამიანებიდანაც. საიდუმლოება ხომ არ არის, რომ ზოგიერთი მშობელი ასე მსჯელობს:

— აბა სად შეუძლია ჩემს ქალიშვილს, რომელმაც ათწლედი დაამთავრა, ძროხის წველა!

რძის სმა შეუძლია, ძროხის მოწველა კი თავისთვის სათაკილოდ მიაჩნია! (სიცილი, ტაში).

ეს ობივატელობაა, მეშჩანობაა. განა შეჰფერის ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს მეშჩანური დამოკიდებულება შრომისადმი? არა, არ შეჰფერის. ასეთი არასწორი და მეტად მავნე შეხედულება შრომაზე მტკიცედ უნდა დავგმოთ, როგორც ძველი შეხედულების გადმონაშთი, რომელიც ჯერ კიდევ დარჩენილა ჩვენში კაპიტალისტური საზოგადოებიდან. მუშები და კოლმეურნეები, ნაყოფიერი შრომის ყველა ადამიანი სოციალისტური საზოგადოების დიდება და სიამაყეა. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია თავიანთი შრომით ქმნიან მთელ სიმდიდრესა და მატერიალურ ფასეულობებს.

იმისათვის, რომ შრომა უფრო ნაყოფიერი იყოს, ხოლო ჩვენი ქვეყანა უფრო მძლავრი და მდიდარი, შრომის ადამიანები უნდა დაეუფლონ ცოდნას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს. ჩვენს ახალგაზრდობას მუდამ უნდა ახსოვდეს დიდი ლენინის ანდერძი — სწავლა, სწავლა და სწავლა იმისათვის, რომ წარმატებით ვააშენოთ ახალი ცხოვრება.

ჩვენ ვცხოვრობთ დიდ საბჭოთა სახელმწიფოში, სადაც ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის. მშრომელმა ხალხმა თავის ხელში აიღო ძალაუფლება და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი გახდა. მუშები და გლეხები ახალ ცხოვრებას აშენებენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრების საფუძველზე. ჩვენი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში მარქსიზმ-ლენინიზმის იმ გენიალური დასკვნის სისწორის მკაფიო დადასტურებაა, რომ ისტორიის ნამდვილი შემოქმედია ხალხი, რომელიც თავისი შრომით ქმნის მატერიალურ დოვლათს.

ჩვენ უნდა ვაფასებდეთ და პატივს ვცემდეთ შრომის ადამიანებს, რადგან მათი პატიოსანი, კეთილსინდისიერი შრომა ემსახურება ჩვენი სოციალისტური საზოგადოების აყვავებას, ეს შრომა ქმნის ყოველივე იმას, რითაც ჩვენი ქვეყანა ცხოვრობს, რითაც იგი ამაყობს და რაც შეადგენს მის დიდებასა და ძლიერებას. და ყოველი ადამიანი უნდა ამაყობდეს იმით, რომ თავისი შრომით საკუთარი წვლილი შეაქვს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საერთო საქმეში. (ხანგრძლივი ტაში).

ხოლო შრომისადმი უპატივცემლობის მავნე, ობივატელურ განწყობილებას ცეცხლი უნდა დავუშინოთ და ძალიან მაგრადაც დავუშინოთ. (ტაში).

კომუნისტურმა პარტიამ დასახა ამოცანა, რომ ყველა საბჭოთა ადამიანს ჰქონდეს საშუალო განათლება. მერე განა ეს იმას ნიშნავს, რომ კაცი, რომელმაც საშუალო განათლება მიიღო, არ უნდა ისწრაფოდეს იმუშაოს ფაბრიკაში ან ქარხანაში, მტს-ში ან კოლმეურნეობაში? რა თქმა უნდა, არა! მაშინ ვინ იმუშავებს კოლმეურნეობაში ან სამშენებლო მოედნებზე?

თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენს პირობებში, მიიღებს რა საშუალო განათლებას, ყოველ მუშას, ყოველ კოლმეურნეს ექნება შესაძლებლობა მიიღოს უმაღლესი განათლებაც — ან უმაღლეს სკოლაში, ან თვითგანათლების გზით, ან საღამოს უმაღლეს სასწავლებელში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ. ყოველივე ეს კარგია. მაგრამ განა ჩვენ ვამბობთ, რომ საბჭოთა ადამიანები არ უნდა აშენებდნენ სახლებს, არ უნდა მუშაობდნენ ფაბრიკა-ქარხნებში, არ უნდა მოჰყავდეთ კარტოფილი და არ უნდა წველიდნენ ძროხებს? ზოგიერთ ადამიანს კი, საშუალო განათლებას რომ მიიღებს, არა სურს ეს აკეთოს, ასეთი შრომა თავისთვის სათაკილოდ მიაჩნია. ეს სწორი არ არის! (მქუხარე ტაში).

ამხანაგებო, საჭიროა სასაცილოდ ავიღოთ ასეთი ჩამორჩენილი შეხედულება და აღმოვფხვრათ იგი. ჩვენმა სატირიკოსებმა გახურებული შანთით უნდა ამოწვან ეს, რათა ადამიანს, რომელიც ცუდად ეკიდება შრომას, შერცხვეს არა მარტო ქედმაღლური ლაპარაკი შრომაზე, არამედ ამის ფიქრიც კი.

მგონია, რომ ეს ნათელი საკითხია, და მეტს აღარ ვილაპარაკებ დღეს ამაზე. ხოლო საერთოდ, ალბათ, კიდევ არაერთხელ მოგვიხდება ამაზე ლაპარაკი! (სიცილი, ტაში).

ამხანაგებო! აბა დაფიქრდით, რამდენი ქარხანა, ფაბრიკა, ელექტროსადგური, მათ შორის ატომის ელექტროსადგური, რამდენი ახალი ქალაქი და სოფელი უნდა ავაშენოთ მეექვსე ხუთწლედში!

ბევრი საწარმო აშენდება საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში, მაგრამ საწარმოების მნიშვნელოვანი რაოდენობით აშენება მოგვიხდება ციმბირში, ყაზახეთში, შორეულ აღმოსავლეთში, სხვა მხარეებსა და რესპუბლიკებში, რომლებიც მოსკოვს დაშორებული არიან დიდი მანძილით, მაგრამ მეტად ახლოს არიან მასთან, ერთიანი არიან მასთან თავიანთ მისწრაფებაში ჩვენი ქვეყნის განვითარებისადმი, კომუნიზმის მშენებლობის ჩვენი დიადი გეგმების განხორციელებაში.

ძველ დროს ციმბირზე ბევრი მრავალნაირი სევდიანი სიმღერა შეიქმნა. ცარიზმის დროს ციმბირი იყო გადასახლების, კატორღის ადგილი, ამიტომ ციმბირით აშინებდნენ ადამიანებს, უხეშად დაამახინჯეს წარმოდგენა ციმბირის მიწაზე. ციმბირის მიწა კი შესანიშნავი და უმდიდრესი მიწაა. აი ანასტას ივანეს-ძე მიქოიანი ეს არის დაბრუნდა ჩინეთიდან. იგი მოსკოვს მომავალი გზაში შეჩერდა ციმბირის ზოგიერთ ქალაქში და ამბობს, რომ ახლა იქ უკვე 10-15 გრადუსი სითბოა, რომ ზოგიერთ რაიონში თოვლიც აღარ არის. ჩვენი საბჭოთა ციმბირი სულაც არ არის ისეთი, როგორც მასზე ობივატელური წარმოდგენა შეიქმნა. უდიდესი სიმდიდრეა მის წიაღში: იქ არის ქვანახშირის, სხვადასხვა ლითონის, ტყისა და ბევრი სხვა ულეველი მარაგი. სიმდიდრე იქ ჭეშმარიტად კოლოსალურია, მაშ ხომ არ უნდა გადავყაროთ, გამოუყენებელი ხომ არ უნდა დავტოვოთ იგი. და ჩვენ არ მივატოვებთ მას, არამედ გამოვიყენებთ საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. აი სად შეუძლია ჩვენს საბჭოთა ახალგაზრდობას გამოიჩინოს თავი — აითვისოს ჯერ კიდევ დაუსახლებელი მხარე, ააგოს იქ თანამედროვე ქარხნები, ფაბრიკები, ელექტროსადგურები, რკინიგზები, კეთილმოწყობილი ქალაქები.

ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში მილიონობით საბჭოთა ადამიანი ცხოვრობს და მუშაობს, მათ უყვართ თავიანთი მხარე. მაგრამ ბევრი აღმოსავლეთი რაიონი ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის დასახლებული და ისინი ელოდებიან გაბედული და შრომისმოყვარე ადამიანების ახალ შევსებას.

ამხანაგო კომკავშირელებო! იმ სიმდიდრეთა ასათვისებლად, რომლებიც საუკუნეობით ხელუხლებელია ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკებში, კომკავშირს შეუძლია საჭირო რაოდენობით გამოჰყოს ადამიანები, რომლებიც აღფრთოვანებით შეუდგებიან ამ რაიონებში ახალ მშენებლობათა აგებას.

უნდა ითქვას, რომ ციმბირზე წინათაც არა მარტო ცუდს, არამედ კარგსაც ამბობდნენ. 160 წელზე მეტი ხნის წინათ ერთ-ერთი პირველი რუსი რევოლუციონერი ალექსანდრე რადიშჩევი წერდა: „რა მდიდარი მხარეა ეს ციმბირი, რა მძლავრი მხარეა! საჭირო იქნება კიდევ საუკუნეები, მაგრამ როცა იგი დასახლდება, იგი განკუთვნილია დიდი როლი შეასრულოს მსოფლიოს მატიანეში".

ჩვენი დიდი პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი, ახასიათებდა რა ციმბირს, მასზე ლაპარაკობდა როგორც უდიდეს, ზღაპრულად მდიდარ ქვეყანაზე, „რომლის მიწა თითქოს სულ უფრო ხალისით გვაძლევს თავისი წიაღის აურაცხელ განძს, ტყეების კოლოსალურ მასივებს, თავისი მძლავრი მდინარეების ენერგიის განუზომელ მარაგს".

ესენი არიან ციმბირის მძლავრი მდინარეები, ისეთები, როგორიც არის ენისეი, ობი, ლენა, ანგარა. რა არის ანგარა, ბევრმა თქვენგანმა, ალბათ, იცის. ეს არის მძლავრი მდინარე. იქ შენდება მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები, მათ შორის მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური — ბრატსკის ჰესი. რამდენ სიმდიდრეს მოგვცემს ჩვენი ხალხისათვის თუნდაც მარტო ანგარა!

განჭვრიტა რა ციმბირის მომავალი, მაქსიმ გორკი წერდა: „გვიალცებს რა თავისი გრანდიოზულობით, თვალწინ იშლება ციმბირის ზღაპრული სურათები, რომლებსაც შექმნის ადამიანთა სამუშაო ენერგიით დამორჩილებული და ათვისებული სტიქიური ძალა..."

ეს თქვენ, ახალგაზრდობავ, უნდა ალაგმოთ, დაიმორჩილოთ ციმბირის სწრაფი მდინარეები, უფრო სრულად გამოიყენოთ ციმბირის წიაღის სიმდიდრე, ჩვენი საბჭოთა ხალხის სამსახურში ჩააყენოთ ისინი.

ამხანაგებო! მეექვსე ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი მშენებლობებისათვის საჭირო იქნება ასეულ ათასობით ახალი მუშა. ამ მშენებლობათა კადრებით უზრუნველყოფისათვის პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მიმართავენ საბჭოთა ახალგაზრდობას

(დასასრული მე-3 გვერდზე)

# ახალგაზრდა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირი

11 აპრილს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა ახალგაზრდა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირი.

პირველად გამოსულმა პეტროზავოდსკის სახლმშენებელი კომბინატის ჩარხომეხერხემ ამხ. **ზელინსკიმ** ილაპარაკა სახლმშენებელი კომბინატის მუშაობაზე, წარმოების მექანიზაციის მოწინავე გამოცდილების შესწავლის უდიდეს მნიშვნელობაზე.

ამხ. ზელინსკი სთხოვს სსრ კავშირის მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს მოაწესრიგოს ერთნაირი კვალიფიკაციის მუშების შრომის ანაზღაურების სისტემა.

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრი ამხ. **მელნიკოვი** ლაპარაკობს იმ ამოცანებზე, რომლებიც შახტმშენებელთა წინაშე დასახულია მეექვსე ხუთწლედში. უნდა ამუშავდეს ახალი სიმძლავრეები, შემცირდეს ვადები და გაიაფდეს მშენებლობა, გაუმჯობესდეს შახტების, ჭრილების, ბინების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის ხარისხი, გადიდდეს შახტების ამუშავების სიჩქარე დაახლოებით ერთიორად.

მშენებლობათა ხელმძღვანელებმა, ამბობს ამხ. მელნიკოვი, უკეთ უნდა იმუშაონ ბრიგადებთან, ადამიანებთან, ყური დაუგდონ მათს ხმას, იზრუნონ იმისათვის, რომ შეუქმნან მათ ნორმალური საწარმოო პირობები. იქ, სადაც ამას აკეთებენ, მუშები გადაჭარბებით ასრულებენ ნორმებს, აქვთ კარგი ხელფასი, იზრდება გამომუშავება, უმჯობესდება სამუშაოთა ხარისხი.

დილის 11 საათია. პრეზიდიუმში შემოდიან ამხანაგები **ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა.** ახალგაზრდობა მათ ხვდება მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით. ყველანი ფეხზე დგებიან.

ლაპარაკობს ჩელიაბინსკის მეტალურგმშენის კალატოზი-მემონტაჟე ამხ. **გულევსკი**. ჩელიაბინსკის მეტალურგმშენის ტრესტი ერთ-ერთი უდიდესი ტრესტია ურალში. ხარშან მისმა კოლექტივმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა ბრძმედი და მარტენის ღუმელი, საკოქსე ბატარეა, საგლინავი დგანი, ელექტროფოლადსადნობი საამქრო ფეროშენადნობთა ქარხანაში და მთელი რიგი სხვა ობიექტები.

სიტყვა ეძლევა ტრესტ „იუგოზაპადტრანსსტროის" (კიევი) კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირს ამხ. **სიდლეცკის**. იგი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიზანია უფრო ამაღლდეს საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული დონე. ამით სასიცოცხლოდ დაინტერესებულია მთელი ჩვენი ხალხი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა. ამიტომ ახალგაზრდობას მეტი აქტივობაც მოეთხოვება ამ ამოცანის შესრულებაში.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა**, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ტრიბუნაზეა სტალინგრადჰიდრომშენის ელექტროშემდუღებელთა ბრიგადირი ამხ. **გოლევაცკი**. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ სტალინგრადის ჰიდროკვანძის მშენებელთა წინაშე დიდი და პასუხსაგები ამოცანა დასახა — მეექვსე ხუთწლედში დაამთავრონ ელექტროსადგურის მშენებლობა, თქვა მან. მშენებელთა კოლექტივი გამსჭვალულია მისწრაფებით — ღირსეულად შეასრულოს პარტიისა და მთავრობის დავალება.

სამშენებლო მრეწველობის აღმავლობაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ კომკავშირელები, საბჭოთა ახალგაზრდობა, რადგან ყველა მშენებელთა ნახევარზე მეტი ჭაბუკები და ქალიშვილები არიან, აცხადებს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **შელეპინი**. ლენინური კომკავშირის მოწოდებით 13 ათასი ახალგაზრდა პატრიოტი სამუშაოდ წავიდა კუიბიშევის, სტალინგრადის, გორკის ჰესების მშენებლობებზე. 13 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი შევიდა რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების ქარხნების მშენებელთა რიგებში, 100 ათასამდე კომკავშირელი და ახალგაზრდა პარტიის მოწოდებით გაემგზავრა მშენებლობებზე ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში. ახალგაზრდა მშენებელთა შორის ცოტა როდი გაიზარდა წარმოების ნოვატორი სოციალისტური შეჯიბრების მოწინავე.

ჩვენ, ამხანაგებო, ყველამ თქვენთან ერთად დღეს განსაკუთრებული ყურადღებით მოვისმინეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სიტყვა. ამხანაგმა ხრუშჩოვმა კომკავშირის წინაშე, ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობის წინაშე დასახა დიდი და პასუხსაგები ამოცანები. მან მაღალი შეფასება მისცა კომკავშირის, ჩვენი ჭაბუკებისა და ქალიშვილების მუშაობას. თვითეულ ჩვენგანს ეს შეფასება ბევრ რამეს ავალებს. მაგრამ ჩვენს შორის ვერავინ ვერ იტყოდა, რომ მთელი კომკავშირის, მისი ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობაში, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობაში ჯერ კიდევ მეტად ბევრი დიდი ნაკლია. ამ ნაკლოვანებებზე, კერძოდ, ლაპარაკობდნენ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ პლენუმზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ კომკავშირელები, მთელი ახალგაზრდობა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღებენ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სიტყვას, მხურვალედ გამოეხმაურებიან პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას, ბოლშევიკურად შეუდგებიან იმ დიდი ამოცანების გადაჭრას, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს ჩვენს ქვეყანას და, კერძოდ, ახალგაზრდა მშენებლებს. ნება მიბოძეთ თქვენი სახელით, ყველა კომკავშირელის, ჩვენი ქვეყნის ჭაბუკებისა და ქალიშვილების სახელით, გულითადი მადლობა გადავუხადო პარტიასა და მთავრობას იმ დიდი ყურადღებისა და ზრუნვის გამო, რომელსაც ისინი ახალგაზრდობისათვის იჩენენ, და პირობა მივცე ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობა თავს გაართმევს ყველა ამოცანას, რომლებიც მას მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ დაუსახა.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ტრესტ „ორენბურგტრანსსტროის" ოსტატი ამხ. **პაშინი**, ქალაქ კრასნოიარსკის № 47 ტრესტის მექსკავატორე ამხ. **ტრუბიცინი**, კუიბიშევის სახელობის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის კათედრის უფროსი პროფესორი **სკრამტაევი** და № 20 სამშენებლო ტრესტის (ლენინგრადი) კალატოზი ამხ. **ივანოვი**.

საღამოს სხდომაზე გამოვიდა ბაქოს სამშენებლო ტრესტის კალატოზი ამხ. **სულეიმანოვი**. მან დაწვრილებით ილაპარაკა საშენი მასალებით უზრუნველყოფის საკითხებზე. კირქვის მდიდარი საბადოები ცუდად მუშავდება. აზერბაიჯანში თაბაშირის მნიშვნელოვანი მარაგია, რაც საკმაოა მთელი ამიერკავკასიისათვის, ხოლო თაბაშირი რუსეთის სფს რესპუბლიკიდან შემოაქვთ. ამ და სხვა საკითხების გადაჭრა, რომლებიც დაკავშირებულია საშენი მასალების წარმოებასთან, მოითხოვს საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს ჩარევას და კონკრეტულ დახმარებას.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილე ამხ. **როსტოცკი**, საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ტერენტიევი**, სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრი ამხ. **დიგაი**.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა კომკავშირელებისადმი, ყველა ჭაბუკისა და ქალიშვილისადმი, რომლებიც მუშაობენ მშენებლობებზე, საშენ მასალათა მრეწველობის, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის საწარმოებში, მშენებლობის ახალგაზრდა არქიტექტორებისადმი, ინჟინრებისა და ტექნიკოსებისადმი. (საქტასი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდობავ, ახალი გმირობისათვის, საბჭოთა სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის!

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ახალგაზრდა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირზე 1956 წლის 11 აპრილს

(დასასრული)

[illegible] თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, არ შეუშინდა მის ძალას. ჩვენმა ხალხმა მოსპო ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება და შექმნა ახალი, საბჭოთა სოციალისტური წყობილება, რომელიც გამოხატავს მის სასიცოცხლო ინტერესებს.

ჩვენს ხალხს არ შეშინებია სიძნელეებისა, არ შეშინებია მუქარისა, როცა ის იყო ხელში აიღო ძალაუფლება და იძულებული გახდა იარაღით დაეცვა თავისი მონაპოვარი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შემოსევისაგან, მან განდევნა მტრები თავისი მიწაწყლიდან. იგი არ შემდრკალა, როცა ფაშისტები თავს დაესხნენ საბჭოთა კავშირს, არამედ შეებრძოლა მათ და დაამარცხა.

ახლა ჩვენ ფართო გზაზე გამოვედით და ისეთ თვალსაჩინო წარმატებებს მივაღწიეთ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების დარგში, რომ ვერავითარი სიძნელე ვეღარ შეგვაშინებს. ჩვენ გვქონდა ჩამორჩენა სოფლის მეურნეობაში, მაგრამ ახლა მთელი ხალხი დაირაზმა ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის საბრძოლველად და ეჭვი არ არის, რომ სოფლის მეურნეობის დარგში ახალი ხუთწლედი ორ-სამ წელიწადში შესრულდება. (ტაში).

იმ ახალი დიდი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, რომლებიც პარტიის XX ყრილობამ დასახა, ჩვენ ყველა პირობა გვაქვს. გვყავს გმირი მუშათა კლასი, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, ჩვენი მშრომელი ინტელიგენცია. ჩვენი საბჭოთა ხალხის მთელ უზარმაზარ შემოქმედებითს მუშაობას ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, რომელმაც დაამტკიცა, რომ შესწევს უნარი მოიპოვოს წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის საქმეში. ჩვენ გვყავს ლენინური კომკავშირი, პარტიის თანაშემწე, რომელიც ახალგაზრდობას რაზმავს პარტიის მიერ დასახული ამოცანების გადასაჭრელად. ამიტომ, ამხანაგებო, დარწმუნებული ვართ, რომ პარტიის ახალი მოწოდება — ათეულ და ასეულ ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი გაიგზავნოს მეექვსე ხუთწლედის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე — კომკავშირელთა და მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის მხურვალე მხარდაჭერას ჰპოვებს. (მქუხარე ტაში).

ახალ მშენებლობებზე აღმოსავლეთ, ჩვენი ქვეყნის ჯერ კიდევ აუთვისებელ რაიონებში საჭირო იქნება, რა თქმა უნდა, მართლაც გაბედული და მამაცი ახალგაზრდა ადამიანები, რომელთაც სიძნელეებისა არ ეშინიათ. პირობები იქ პირველ ხანებში მკაცრი იქნება. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. თქვენ კარგად უნდა წარმოიდგინოთ, რომ სიდედრთან როდი მიდიხარ ბლინების საჭმელად. (სიცილი, გამოცოცხლება დარბაზში). ასეთი დიდი და ძნელი საქმისათვის საჭიროა გაბედული ახალგაზრდობა. დაე თავდაპირველად ეს იყონ უპირატესად ცალქეული ჭაბუკები და ქალიშვილები, შემდეგ კი ერთად შრომაში ისინი კარგად გაიცნობენ ერთმანეთს, ბევრი მათგანი დაქორწინდება, შექმნის მტკიცე ოჯახს. (ტაში).

ამხანაგებო! შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ მოსკოვის, ლენინგრადისა და ჩვენი ქვეყნის სხვა დიდი ქალაქების კომკავშირელები მაგალითს გვიჩვენებენ ამ ახალ საქმეში. ახლა მოსკოვში, ლენინგრადსა და სხვა დიდ ქალაქებში მუშახელის რეზერვებია. მეცნიერება განუწყვეტლივ წინ მიდის, ტექნიკა იზრდება და უმჯობესდება, შრომა წარმოებაში მექანიზებული ხდება — ყოველივე ეს ისეთ პირობებს ქმნის, რომ ჩვენი მთავარი ინდუსტრიული ცენტრების მრეწველობას შეუძლია გამოჰყოს კადრები ჩვენი ქვეყნის ახალ რაიონებში ახალი საწარმოების შესაქმნელად. იგივე შეიძლება ითქვას მშენებლობათა შესახებაც.

მოსკოვსა და ლენინგრადში, სადაც უკვე ახლა ათასობით საწარმო და მილიონობით მცხოვრებია, აგრეთვე მთელ რიგ სხვა დიდ ქალაქებში საჭირო არ არის ახალ საწარმოთა შენება. რაც უფრო სწორად იქნება განლაგებული სამრეწველო საწარმოები მთელ საბჭოთა კავშირში, რაც უფრო ახლოს იქნებიან ისინი ნედლეულის წყაროებთან, მით უკეთესი იქნება ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი ხალხისათვის.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ახალგაზრდა მოსკოველები, ცოტას თუ წაიმუშავებენ, შეძლებენ გამოჰყონ თავიანთი წრიდან ათეულ ათასობით მუშა ახალ საწარმოთა ასაშენებლად აღმოსავლეთ რაიონებში, თუ ამ საქმეს სწორად მივუდგებით, მოსკოვის საწარმოებს შეუძლიათ ათასობით მუშა გამოჰყონ ახალი ქარხნების მშენებლობისათვის, ისე რომ ზიანი არ მიაყენონ წარმოების განვითარებას. (ტაში).

ლენინგრადს, ხარკოვს, კიევს, სვერდლოვსკსა და სხვა ქალაქებს, ისეთებს, მაგალითად, როგორიც არის ოდესა, სადაც აგრეთვე არ აშენდება ახალი ქარხნები, შეუძლიათ ბლომად გამოჰყონ ახალგაზრდობა მეექვსე ხუთწლედის მშენებლობებისათვის.

მართალია, ვიცი, რომ ამ ქალაქების ახალგაზრდა მცხოვრებთა შორის ცოტა როდია ისეთი ადამიანი, რომელსაც მიაჩნია, რომ მისთვის ძალიან ძნელია წავიდეს მშობლიური ქალაქიდან 60 კილომეტრზე უფრო შორს, ძალიან ძნელია. (ტაში). მაგრამ თუ კომკავშირი ჯეროვნად მოჰკიდებს ხელს საქმეს, დაძლევს ამ სიძნელეებს, და დიდი ქალაქების ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი ახალ მშენებლობებზე წასვლის ინიციატორები იქნებიან.

თათბირის შემდეგ თქვენ დაბრუნდებით შინ და უამბობთ თქვენს კოლექტივებს, თქვენს ამხანაგებს, თუ რა დიდი საქმეები მოელის ახალგაზრდობას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ახალგაზრდობა გამოეხმაურება პარტიის მოწოდებას მეექვსე ხუთწლედის მშენებლობებზე წასვლის შესახებ და კარგ, კეთილ საქმეს გაუკეთებს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს. (მქუხარე ტაში). მაგრამ უდარდელობას არ უნდა მივეცეთ. ეს საკითხი ისეთი საკითხია, რომელიც დიდ ნებისყოფას, დიდ შეგნებას მოითხოვს. ყველა, ვინც ტაშს უკრავს, როდია გამსჭვალული შეგნებით და როდი მოჰკიდებს ხელს ამ დიდ, მაგრამ ძნელ საქმეს. აქ საჭიროა დიდი აღმზრდელობითი მუშაობა და საზოგადოებრივი გავლენა. ზოგიერთი ხომ უკრავს ტაშს, როცა საქმე ეხება ამ მოწოდებას, გული კი როგორც იტყვიან, უფრთხიალებთ: ერთიც ვნახოთ თვითონვე მოუხდეს წასვლა?! (გამოცოცხლება დარბაზში, ტაში).

ახლა მინდა ასეთ საკითხს შევეხო. აქ გამოსულმა ბევრმა ამხანაგმა რკინაბეტონის გამოყენებაზე ილაპარაკა. ეს მეტად სასიხარულოა. უნდა ითქვას, რომ მშენებლობაში ბეტონი და რკინაბეტონი საფუძველია. რკინაბეტონის ფართოდ გამოუყენებლად, უბეტონოდ და, მე ვიტყოდი, უბლოკბეტონოდ ჩვენ ვერ მივაღწევთ მშენებლობის საჭირო ტემპს, დიდ გამომუშავებას, თვითღირებულების საჭირო შემცირებას. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მხოლოდ შრომის ნაყოფიერების ზრდის კვალობაზე უნდა იზრდებოდეს მუშათა ხელფასი. რკინაბეტონის გამოყენება შესაძლებლობას გვაძლევს უფრო მეტად მოვახდინოთ შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, გავადიდოთ ნაყოფიერება, შესაძლებლობას აძლევს მუშას მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს ნორმები და ამით უზრუნველყოფს მაღალ ხელფასს. ყოველივე ამას საბოლოო ანგარიშით შეუძლია დააჩქაროს მშენებლობის ტემპი და გააუმჯობესოს ხარისხი. ეს თქვენ, ამხანაგებო, ახალგაზრდა მშენებლებო, უნდა იცოდეთ და უფრო აქტიურად უნდა იბრძოდეთ რკინაბეტონის დანერგვისათვის.

რკინაბეტონის ფართოდ დანერგვა იმიტომაც არის ეალრესად საჭირო, რომ იგი შესაძლებლობას გვაძლევს ეკონომიურად, უფრო რაციონალურად ვხარჯოთ ლითონი მშენებლობაში.

როცა აღიძრა რკინაბეტონის ფართოდ გამოყენების საკითხი, ზოგიერთი ჩვენი მშენებელი ამბობდა:

— რათ გვინდა რკინაბეტონი? ეს მეტად საჯახირო საქმეა, უმჯობესია ლითონით ვაშენოთ.

ისინი პრაქტიკულადაც სწორედ ასე იქცეოდნენ. უცხოეთის ბევრ ქვეყანაში კი, როგორც წესი, ყველაფერს რკინაბეტონით აშენებენ. ამას წინათ ჩვენ ვნახეთ კინოფილმი ინგლისში მშენებლობის შესახებ. ინგლისელებმა ანგარის გადახურვისათვის შესანიშნავი ფერმები გააკეთეს დაძაბული არმირების რკინაბეტონისაგან.

ამ მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით, თითქმის ყველაფერს ლითონით ვაკეთებთ. ეს მფლანგველობაა! ხელმძღვანელებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მშენებლობისათვის, უნდა რცხვენოდეთ ხალხის წინაშე ასეთი უყაირათობისათვის. ასეთი მფლანგველობა რომ აღარ დავუშვათ, სასტიკად უნდა დავსაჯოთ ასეთ საქმეში დამნაშავენი. (ტაში).

რკინაბეტონით აშენებულ ქარხანას რამდენჯერმე ნაკლები ლითონი დასჭირდება, ვიდრე ლითონკონსტრუქციებით აშენებულს.

**ამხ. დიგაი** (მშენებლობის მინისტრი): შვიდჯერ ნაკლები!

**ამხ. ხრუშჩოვი:** შვიდჯერ! მაშასადამე, თუ რკინაბეტონს გამოვიყენებთ, ამ რაოდენობის ლითონით ერთი ქარხნის ნაცვლად შეიძლება შვიდი ქარხანა ავაშენოთ! როგორ გგონიათ, აქვს თუ არა აზრი რკინაბეტონისათვის ბრძოლას?

**ხმები ადგილებიდან:** აქვს!

თქვენ, მშენებლებმა, უნდა შეიგნოთ რკინაბეტონის გამოყენების ეკონომიური მიზანშეწონილობა და ყოველთვის უნდა იბრძოდეთ ამ საქმისათვის, მიაღწიოთ იმას, რომ ადამიანები დროზე შეუდგნენ საქმეს და კეთილსინდისიერად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის მშენებლობაშიც, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ეს ძალიან სერიოზული საკითხია. თქვენ, ახალგაზრდა მშენებლები, ამ საქმეშიც წამომწყები უნდა იყოთ. შრომის ნაყოფიერება რომ გავადიდოთ, უწინარეს ყოვლისა სწორად უნდა გამოვიყენოთ მექანიზმები, ტექნიკა, რომელიც მშენებლობებზე მოიპოვება. ვსარგებლობ რა თქვენი თათბირით, მინდა გავაკრიტიკო მოსკოველები მექანიზმების გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებებისათვის. ჩვენ მოსკოველებს იმიტომ კი არ ვაკრიტიკებთ, რომ მოსკოვში უფრო ცუდად არის ეს საქმე, ვიდრე სხვა ქალაქებში, უეჭველად არ არის უფრო ცუდად, შესაძლოა უკეთესადაც იყოს.

ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ბევრი უცხოელი სტუმარი ჩამოდის. ჩვენს საბჭოთა კარს ყოველთვის გვიკაკუნებენ უცხოელი სტუმრები, და ეს ძალიან კარგია. ბევრი მათგანი, საბჭოთა კავშირში ყოფნის შემდეგ, აღიარებს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს წარმატებებს. ისინი ამბობენ და წერენ თავიანთ პრესაში, თუ რა ბევრი საცხოვრებელი სახლი შენდება ჩვენში. მაგრამ ჩვენ ამან როდი უნდა გაგვაყოყოჩოს, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენს მოსახლეობას კიდევ ბევრი ბინა ესაჭიროება. პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გააუმჯობესონ მშრომელებს საბინაო პირობები. მეექვსე ხუთწლედში ბევრი რამ გაკეთდება ამ მხრივ. მაგრამ წარმატებას რომ მივაღწიოთ, გადაჭრით უნდა ვიბრძოლოთ სამშენებლო ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ჩვენში ჯერ კიდევ ცუდად ვიყენებთ მექანიზმებს. მოიარეთ მოსკოვის მშენებლობები და თქვენ დაინახავთ ბევრ ამწეს, რომლებიც უმოძრაოდ დგას. როცა ამ უმოქმედო ამწეებს ვხედავთ, გვაგონდება სურათი, რომელიც თქვენ, ცხადია, არაერთხელ გინახავთ, კისერწაგრძელებული ყარყატები რომ დაეწყობიან მინდორში გადაფრენის წინ.

რას მოწმობს ეს? უწინარეს ყოვლისა იმას, რომ სამშენებლო მოედნებს ცუდად ამზადებენ მშენებლობისათვის; დადგამენ ამწეებს, შემდეგ კი ირკვევა, რომ ამ მშენებლობისათვის დეტალები ჯერ კიდევ მზად არ არის, საჭირო მასალები არ მოუტანიათ და აი დგას ამწე და ელის დეტალებს. ეს განა ყაირათიანობაა? კარგმა ინჟინერმა-ორგანიზატორმა ყველაფერი უნდა გამოიანგარიშოს, ყველაფერი მოამზადოს, რათა, მექანიზმები დადგმის შემდეგ მუდამ მუშაობდნენ. მაშინ ნამდვილად უზრუნველყოფილი იქნება შრომის ნაყოფიერების ზრდა, მშენებლობის სწრაფი ტემპი, მუშათა მაღალი გამომუშავება და მაქსიმალური ხელფასი ამ პირობებში. შეიძლება თუ არა გავაკეთოთ ეს? უთუოდ შეიძლება და საჭიროა. მხოლოდ ბოლო უნდა მოვუღოთ მოდუნებულობას, არაორგანიზებულობას.

რომ იცოდეთ, თუ ვის ეხება მოსკოვის ბევრი მშენებლობის უწესრიგობის ეს კრიტიკა, ვიტყვი, რომ ამ ამწეების მოცდენა იმის შედეგია, რომ მშენებლობათა ინჟინრები და ხელმძღვანელები, აგრეთვე მოსკოვის მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. პრომისლოვი სუსტად აწყობენ მუშაობას. (ტაში).

ამხანაგებო! პარტია მოგიწოდებთ თქვენ, ახალგაზრდობას, კეთილშობილური საქმეებისათვის, ახალი და ახალი შრომითი გმირობისათვის. რაც უფრო მეტი საბჭოთა პატრიოტი მოახდენს შრომითს გმირობას, მით უკეთესი იქნება მათი თავდადებული შრომის შედეგები, მით უფრო მდიდარი და ძლიერი იქნება ჩვენი ქვეყანა. იგი კიდევ უფრო მიუვალი იქნება მტრებისათვის და კიდევ უფრო მიმზიდველი ჩვენი მეგობრებისათვის.

ჩვენ ძალიან ბევრი დიდი საქმე მოგველის, რათა განვახორციელოთ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, შევასრულოთ მეექვსე ხუთწლედის გეგმები. ახლა ჩვენი მოსისხლე მტრებიც კი აღარ ეჭვობენ, რომ საბჭოთა ხალხი წარმატებით შეასრულებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დასახულ გეგმებს. ისინი შეშფოთებული არიან, რომ ჩვენ აღებული გვაქვს კაპიტალიზმთან ეკონომიური შეჯიბრების კურსი. მათ ეშინიათ ასეთი შეჯიბრებისა. კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენლებს ჩვენ ვეუბნებით: თქვენ კაპიტალიზმის განვითარების, კერძო ინიციატივის განვითარების, კაპიტალისტური წყობილების მომხრენი ხართ. ჩვენ სოციალიზმის მომხრენი ვართ. ჩვენ არ გვინდა თავს მოგახვიოთ ჩვენი წესები, მაგრამ არც თქვენ დაგანებებთ ჩაერიოთ ჩვენს საქმეებში. ამიტომ ჩვენ მარტო ერთი გამოსავალი გვაქვს — მშვიდობიანი შეჯიბრება.

კაპიტალისტური სამყაროს მოღვაწეები უკვე ახლა ლაპარაკობენ, რომ საჭიროა იფიქრონ თავიანთი პოლიტიკის გარდაქმნაზე. ამასთან ისინი ასე მსჯელობენ: თუ საბჭოთა კავშირი კვლავაც ასეთი ტემპით ივლის წინ, შორს აღარ არის ის დრო, როცა სსრ კავშირი ყველაზე მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს გაუსწრებს ეკონომიურად. ისინი ხედავენ ჩვენს წარმატებებს, აღიარებენ მათ, მაგრამ ამავე დროს ეშინიათ ამ წარმატებებისა.

ჩვენმა ხალხმა ლენინის ხელმძღვანელობით, თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოსპო კაპიტალისტთა და მემამულეთა ბატონობა, შექმნა მსოფლიოში პირველი საბჭოთა სახელმწიფო, ააშენა სოციალისტური საზოგადოება. სხვა ქვეყნების ხალხებს სურთ თავი დააღწიონ კაპიტალისტურ ჩაგვრას, სურთ მიაღწიონ იმასვე, რასაც ჩვენ მივაღწიეთ. განა ამ მისწრაფებას მიესალმებიან კაპიტალისტები და მემამულეები? არა, კაპიტალისტები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ყოველნაირად გაახანგრძლივონ თავიანთი ბატონობა მშრომელებზე, არ დაანებონ ხალხს საკუთარ ხელში აიღოს თავისი ბედი, როგორც ეს გააკეთეს ჩვენი ქვეყნის, დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის ხალხებმა.

კაპიტალისტებს კარგად ეხერხებათ თავიანთი კაპიტალისტური სამყაროს, მისი ექსპლოატატორული წესების დაცვა. მათ ეხერხებათ დაზვერვის მოწყობა, ჩვენში თავიანთი ჯაშუშების, დივერსანტების შემოგზავნა. მაშ განა შეგვიძლია ჩვენ უდარდელი ვიყოთ, გულგრილად მოვეკიდოთ ყველა იმ სისაძაგლეს, რასაც იმპერიალისტები ჩვენს მიმართ სჩადიან. ჩვენ უნდა შეგვეძლოს გამოვიცნოთ მტერი, შეგვეძლოს დროზე შევიტყოთ ყველა მისი ხრიკი. ჩვენ ყოველი ღონისძიებით უნდა განვამტკიცებდეთ ჩვენი სახელმწიფოს უშიშროებას, ვიჩენდეთ სიფხიზლეს, აღვკვეთდეთ მტრების ყველა მოქმედებას. ვაკრიტიკებთ რა იმ ნაკლოვანებებსა და შეცდომებს, რომლებიც დაშვებული იყო ჩვენს წინსვლაში, უწინარეს ყოვლისა უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ეს კრიტიკა განამტკიცებდეს საბჭოთა წყობილებას, გვეხმარებოდეს იმაში, რომ კიდევ უფრო სწრაფად და წარმატებით ვიაროთ წინ ჩვენი დიადი მიზნისაკენ— კომუნიზმისაკენ.

მტრებს იმედი აქვთ, რომ ჩვენ შევასუსტებთ სიფხიზლეს, შევასუსტებთ ჩვენს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს. არა, ეს არასოდეს არ იქნება! პროლეტარიატის მახვილი ყოველთვის ბასრი უნდა იყოს, ყოველთვის უნარიანად უნდა იცავდეს რევოლუციის მონაპოვარს, მუშათა კლასის მონაპოვარს, მშრომელი ხალხის მონაპოვარს. (ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო! მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, უცხოეთის პრესაში დაიბეჭდა ასეთი განცხადებანი: შეხედეთ, რა იყო რუსეთი 40 წლის წინათ — მას ჩამორჩენილი მეურნეობა, სუსტი მრეწველობა, დაბალი კულტურა ჰქონდა. ახლა კი საბჭოთა კავშირი მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაიქცა.

ბევრ ბურჟუაზიულ მოღვაწეს თითქმის 40 წელი დასჭირდა, რომ დარწმუნებულიყო საბჭოთა ქვეყნის სიმტკიცეში და ეღიარებინა ლენინის სიდიადე, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეათა სიდიადე. (მქუხარე ტაში).

კაპიტალიზმთან შედარებით სოციალიზმის უპირატესობაში დარწმუნდა დედამიწის ასეულ მილიონობით ადამიანი. ეს უპირატესობა არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც დაამტკიცა სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის მთელმა მსვლელობამ. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ სოციალიზმისა და კაპიტალიზმის შეჯიბრებაში გამარჯვება დაგვრჩება ჩვენ, საბჭოთა კავშირს, სოციალისტურ ბანაკს, მარქსიზმ-ლენინიზმს! (მქუხარე ტაში).

მაგრამ კაპიტალიზმთან სოციალიზმის ამ მშვიდობიან შეჯიბრებაში წარმატებებს რომ მივაღწიოთ, მივაღწიოთ ახალ წარმატებებს ეკონომიკის, კულტურის განვითარებაში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, ბევრი უნდა ვიშრომოთ, სწორად გამოვიყენოთ მთელი ჩვენი შესაძლებლობანი და რეზერვები, უფრო სრულად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე.

თქვენ, ახალგაზრდობამ, ბევრი რამ უნდა გააკეთოთ ჩვენი კომუნისტური საქმის შემდგომი წარმატებითი წინსვლისათვის. თქვენ ახალგაზრდული თავგამოდებით, ახალგაზრდობის დამახასიათებელი ენერგიით უნდა ისწრაფოდეთ წინ. თქვენ, კომკავშირელებმა, ჩვენი სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობის ყველაზე შეგნებულმა მოწინავე ნაწილმა. მთელი ახალგაზრდობა უნდა ჩააბათ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეექვსე ხუთწლედის გრანდიოზული გეგმების შესრულებისათვის.

ამხანაგებო, ეს უნდა გაკეთდეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ეს არის ჩვენი წმიდა მოვალეობა ხალხის წინაშე, მოზარდი თაობის წინაშე, რომელსაც ეკუთვნის კომუნისტური მომავალი! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

---

დეპეშა

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

## კ. ე. ვოროშილოვს

### მოჰაჰედ ლამინ პირველისაგან, ტუნისის ბეისაგან

უდიდესი სიხარულით მივიღე თქვენი აღმატებულების მილოცვა და საბჭოთა ხალხების მილოცვა ტუნისის დამოუკიდებლობის გამო და გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ჩემი გულწრფელი მადლობა და ტუნისელი ხალხის მადლობა.

ტუნისელ ხალხს სურს, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ტუნისის ურთიერთობა იყოს მეგობრობისა და მშვიდობის ურთიერთობა.

ვუსურვებ თქვენს აღმატებულებას ბედნიერებას, ხოლო საბჭოთა ხალხებს სრულ აყვავებას.

---

## მის აღმატებულებას ბატონ კ. ე. ვოროშილოვს

### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს

მოსკოვი

ვტოვებ რა საბჭოთა კავშირის ტერიტორიას, გიძღვნით თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, გულწრფელ მადლობას მეგობრული მიღებისა და თავაზიანი ყურადღებისათვის, რაც თქვენ გაუწიეთ შვეციის მთავრობის დელეგაციას.

**ტაგე ერლანდერი**

ლენინგრადი, 1956 წ. 11 აპრილი.

---

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის საერთო-საკავშირო სამინისტრო გარდაქმნა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ და საჭიროდ ცნო შეიქმნას უკრაინის სსრ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო, რომელსაც გადაეცეს საწარმოები და ორგანიზაციები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიის თანახმად.

---

## საერთაშორისო თათბირი ხელოვნური ბოჭკოს წარმოების საკითხებზე

12 აპრილს მოსკოვში გაიხსნა საერთაშორისო თათბირი ხელოვნური ბოჭკოს წარმოების დარგში მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხებზე. თათბირში მონაწილეობას იღებენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის დელეგაციები. დედაქალაქში ჩამოვიდნენ მეცნიერები, საწარმოთა მთავარი ინჟინრები, დირექტორები, სამინისტროების ხელმძღვანელი მუშაკები.

სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის მინისტრი ნ. ს. რიჟოვი მიესალმა სტუმრებს და თქვა, რომ თათბირის ძირითადი ამოცანაა ინფორმაციის ურთიერთგაცვლა მიმდინარე წარმოების ტექნოლოგიისა და სამეცნიერო-კვლევითი და ექსპერიმენტული სამუშაოების მდგომარეობის შესახებ. თათბირმა უნდა დასახოს ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების, განსაკუთრებით ორლონის, ტერილენისა და სხვ. წარმოებაში შემდგომი ტექნიკური პროგრესის მიმართულებები და გზები.

ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა, განაგრძო მინისტრმა, ემყარება გულწრფელ სურვილს მივაღწიოთ საერთო ეკონომიურ აღმავლობას. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი სამეურნეო გეგმების მჭიდრო კოორდინაციას, წარმოების კოოპერირებასა და სპეციალიზაციას.

ნ. ს. რიჟოვმა წინადადება შეიტანა განიხილონ სხვა საკითხებიც, კერძოდ ქიმიური ბოჭკოების საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ, ამ სახეობის პროდუქციის წარმოების საკითხებზე გაერთიანებული ჟურნალის გამოშვებისა და ყოველწლიური მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციების მოწყობის შესახებ.

12 აპრილის დილის სხდომაზე თათბირის მონაწილენი გაეცნენ სსრ კავშირში ხელოვნური ბოჭკოს მრეწველობის მიმოხილვას და ამ მრეწველობის განვითარების პერსპექტივებს. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის წარმომადგენელმა — ხელოვნური ბოჭკოს მრეწველობის მთავარი სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა ა. ლ. ბორისოვმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების შესაბამისად 1960 წელს 1955 წელთან შედარებით ყველა ქიმიური ბოჭკოს გამოშვება სსრ კავშირში გადიდდება თითქმის სამჯერ, მათ შორის სინთეზური ბოჭკოებისა — ხუთჯერ.

12 აპრილის დილის სხდომაზე გამოვიდა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ერნსტ რიხტერი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს ქიმიურ-ტექნიკური პროდუქციის მთავარი სამმართველოს უფროსი. მან თათბირს მოახსენა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევების შესახებ ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების წარმოებისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა და მოწყობილობის ათვისების დარგში.

საღამოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა უნგრეთის წარმომადგენელმა — საპროექტო ინსტიტუტის მთავარმა ინჟინერმა ვერდენ ფერენცმა, რომელმაც გააშუქა თავის ქვეყანაში ხელოვნური ბოჭკოს მრეწველობის განვითარების პერსპექტივები. ჩეხოსლოვაკიაში სილონის აბრეშუმის წარმოებაზე მოხსენება გააკეთა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის წარმომადგენელმა ინჟინერმა ფიალამ.

თათბირი კიდევ რვა დღეს გასტანს. მეცნიერულ მოხსენებებს გააკეთებენ საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. დელეგატები დაათვალიერებენ აგრეთვე ხელოვნური ბოჭკოს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტსა და საწარმოებს.

(საქტასი).

# პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინის დაკრძალვა

12 აპრილს დედაქალაქის მშრომელებმა დაკრძალეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინი.

კრემაციის შემდეგ, რაც ღამით მოხდა, ურნა განსვენებულის ნეშტით დადგმულ იქნა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში პალმებსა და ცოცხალ ყვავილებს შორის. სამგლოვიარო ჩარჩოშია პ. ა. იუდინის პორტრეტი. ატლასის პატარა ბალიშებზე აწყვია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ნიშანი, ორდენები და მედლები, რომლებითაც პ. ა. იუდინი დაჯილდოებული იყო სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის.

დილის 10 საათზე დაიწყო მშრომელების შესვლა კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. ჟღერს სამგლოვიარო მუსიკა. დარბაზში არიან პ. ა. იუდინის ნათესავები, მახლობლები და ამხანაგები.

კვარცხლბეკთან, რომელზეც მოთავსებულია ურნა, საპატიო ყარაულში დგანან დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და საწარმოთა მუშაკები. სვეტებიან დარბაზში და ფოიეში მრავალი გვირგვინია.

15 საათსა და 30 წუთზე ურნას პ. ა. იუდინის ნეშტით ფრთხილად იღებენ კვარცხლბეკიდან და გვირგვინებთან ერთად გააქვთ დარბაზიდან. მწუხარე დუმილით მიდიან განსვენებულის ნათესავები და მახლობლები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის წევრები, დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები, მინისტრები, გენერლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები. კავშირის სახლის წინ ჩამწკრივებულია საპატიო სამხედრო ესკორტი. მისი თანხლებით სამგლოვიარო მარშის ხმებში პროცესია მიემართება წითელ მოედანზე.

პ. ა. იუდინის ხსოვნისადმი მიძღვნილ მიტინგზე ათასობით მოსკოველი შეიკრიბა. აქ არიან უცხოეთის მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები და თანამშრომლები.

ურნას პ. ა. იუდინის ნეშტით დგამენ ლენინისა და სტალინის მავზოლეუმის წინ.

ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, ლ. მ. ბრეჟნევი, დ. ტ. შეპილოვი, ე. ა. ფურცევა, ა. ბ. არისტოვი, პ. ლ. პოსპელოვი.

მოსკოვის მშრომელთა სამგლოვიარო მიტინგს ხსნის მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სიტყვას ამბობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ვ. ა. კუჩერენკო.

## ამხ. ვ. ა. კუჩერენკოს სიტყვა

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ უკანასკნელად ვეთხოვებით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგულ შვილს, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის ერთ-ერთ გამოჩენილ ორგანიზატორს, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრს პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინს.

კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილმა ამხანაგმა იუდინმა განვლო სახელოვანი შრომის გზა ტულის იარაღის ქარხნის მუშიდან ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწემდე.

თავისი შრომითი საქმიანობა მან ძალიან ადრე დაიწყო, მუშაობდა ქარხანაში და ამავე დროს სწავლობდა, ბეჯითად და შეუპოვრად ეუფლებოდა ცოდნასა და საწარმოო გამოცდილებას. კომკავშირში ყოფნისას აქტიურ მონაწილეობას იღებდა კოლექტივის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1929 წელს პავლე ალექსანდრეს-ძე 10 წლის განმავლობაში მუშაობდა მძიმე ინდუსტრიის მთელ რიგ მსხვილ საწარმოებში როგორც მშენებელი ინჟინერი, სამუშაოთა მწარმოებელი და მშენებლობის უფროსი.

მუშაობდა რა ჩვენი სამშობლოს უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე, ამხანაგმა იუდინმა თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა ინჟინერმა, თავისი საქმის დიდმა მცოდნემ, რომელიც დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით სარგებლობდა მშენებელთა შორის. ამხანაგ იუდინის ეს შესანიშნავი თვისებები დააფასა პარტიამ, და 1939 წელს იგი დაწინაურებულ იქნა სათბობის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილის, ხოლო მალე — მშენებლობის სახალხო კომისრის პირველი მოადგილის პოსტზე.

აქ კიდევ უფრო გაიშალა იუდინის როგორც გამოჩენილი ინჟინრის და ჩვენს ქვეყანაში წარმოებული მშენებლობის ხელმძღვანელის ნიჭი.

დიდი სამამულო ომის დროს, როდესაც საჭირო გახდა ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში ევაკუირებული საწარმოების უმოკლეს ვადაში აღდგენა, ამხანაგ იუდინს დაევალა პასუხსაგები სამუშაო — სასწრაფოდ აემუშავებინა თავდაცვითი და მეტალურგიული მრეწველობის საწარმოები.

ეს ძნელი ამოცანა პავლე ალექსანდრეს-ძემ წარმატებით შეასრულა, მოახმარა რა მას მთელი თავისი მჩქეფარე ენერგია და დიდი მშენებლის დიდი გამოცდილება.

როდესაც ფართოდ გაჩაღდა მუშაობა ომით დაზარალებული სამხრეთის მრეწველობის აღსადგენად, პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინს, რომელიც მაშინ უკვე მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის მინისტრი იყო, ძალიან ხშირად ნახავდით სამხრეთის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე.

ამ პასუხსაგებ პოსტზე ამხანაგმა იუდინმა, ისევე როგორც სამამულო ომის პერიოდში, გამოიჩინა უდიდესი გამოცდილება და ორგანიზატორული ნიჭი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ომით დანგრეული მძიმე მრეწველობის საწარმოთა აღსადგენად წარმოებულ მუშაობას.

1950 წელს პარტია ამხანაგ იუდინს აწინაურებს სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ პასუხსაგებ უბანზე — საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის პოსტზე.

როგორც გამოცდილ მშენებელს, პავლე ალექსანდრეს-ძეს კარგად ესმოდა, საშენ მასალათა მრეწველობის რომელი დარგები უნდა განვითარებულიყო განსაკუთრებით სწრაფად. იგი გაბედულად წყვეტდა საშენ მასალათა მრეწველობაში მოწინავე ტექნიკის დანერგვის საკითხებს, იყო შეურიგებელი კონსერვატიზმის ყოველგვარი ელემენტებისადმი. პავლე ალექსანდრეს-ძემ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა ცემენტისა და ასაწყობი რკინაბეტონის წარმოების განვითარებისათვის.

მისი უშუალო მეთვალყურეობით შეიქმნა ასაწყობი რკინაბეტონის მრეწველობის პირველი გიგანტები — რკინაბეტონის კონსტრუქციათა და ნაკეთობათა მოსკოვისა და ლიუბერცის ქარხნები, საშენი კერამიკის კუჩინოს და კუდინოვსკის ქარხნები, სებრიაკოვსკის და ამვროსიევკის ცემენტის ქარხნები და სხვა საწარმოები.

ეს იყო ადამიანი, რომელსაც მხურვალედ უყვარდა თავისი საქმე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX და XX ყრილობებზე ამხანაგი იუდინი არჩეული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად.

ქალაქ სმოლენსკის მშრომელებმა პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინი აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ექვსი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და საბჭოთა კავშირის მედლებით.

პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინმა მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების საქმეს, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეს.

პავლე ალექსანდრეს-ძე ჩვენი რიგებიდან წავიდა შემოქმედებითი ძალებით აღსავსე, შესანიშნავი კომუნისტი, თავმდაბალი და გულისხმიერი ამხანაგი, იშვიათი სულის ადამიანი, რომელმაც დაიმსახურა პატივისცემა და სიყვარული ყველა ადამიანისა, ვინც მას იცნობდა.

პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება საბჭოთა ადამიანების გულში.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო!

• • •

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკების სახელით სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ამხ. ი. ი. ლებედმა.

## ამხანაგ ი. ი. ლებედის სიტყვა

ამხანაგებო!

დღეს ჩვენ უკანასკნელად ვეთხოვებით მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის ერთ-ერთ გამოჩენილ ორგანიზატორს პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინს.

მან განვლო ცხოვრების შესანიშნავი გზა მუშიდან მინისტრამდე. მთელ თავის ძალღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას, თავის დაუღალავ შემოქმედებითს ენერგიასა და ორგანიზატორულ ნიჭს იგი ახმარდა ამოცანების შესრულებას მშენებლობისა და სამშენებლო ინდუსტრიის ყოველ უბანზე, რომლებსაც მას პარტია და მთავრობა ანდობდნენ.

ყველა მშენებელი იცნობს ამხანაგ იუდინის დიდ დამსახურებას სათბობის, თავდაცვითი და მეტალურგიული მრეწველობის უდიდეს საწარმოთა შექმნის საქმეში, მისი როგორც დიდი სამეურნეო მუშაკისა და ინდუსტრიული მშენებლობის ორგანიზატორის შესანიშნავ ნიჭს.

ჩვენ მას ვიცნობთ აგრეთვე როგორც ჩვენს ქვეყანაში საშენ მასალათა მრეწველობის გამოჩენილ ორგანიზატორს. ამ მრეწველობას მოახმარა მან თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ექვსი წელი, მას შემდეგ, რაც 1950 წელს დაინიშნა სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრად.

ამხანაგ იუდინის ხელმძღვანელობით საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა უდიდესმა კოლექტივმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყოველდღიურ დახმარებაზე დაყრდნობით, მნიშვნელოვნად გააფართოვა მე-5 ხუთწლედის წლებში საშენ მასალათა წარმოება, დიდი მუშაობა გასწია საწარმოთა ხელახალი ტექნიკური აღჭურვისათვის, რამაც შესაძლებელი გახადა წარმოების მთელი რიგი დარგების ჩამორჩენის დაძლევა და ამ მრეწველობის აყვანა ახალ საფეხურზე, მძიმე ინდუსტრიის სხვა დარგების საერთო რიგში ჩაყენება.

პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინმა მისი დამახასიათებელი ენერგიით, სიმტკიცითა და გაქანებით წამოიწყო და განახორციელა უდიდესი მუშაობა ცემენტის მრეწველობის გადასაყვანად თანამედროვე ტექნიკის რელსებზე. დასახულია მრეწველობის ამ დარგის შემდგომი ტექნიკური პროგრესის გზები, რაც საშუალებას მოგვცემს მეექვსე ხუთწლედში გაცილებით უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მშენებლობათა მოთხოვნილება ცემენტზე.

მისი ხელმძღვანელობით შექმნილია წარმოების ახალი დარგები, ისეთები, როგორიცაა ხრის კერამიკული მრეწველობა, განხორციელდა და წარმოებს ასაწყობი რკინაბეტონის, გაკრიალებული შუშის, არამადნეული და სხვა საშენი მასალების მთელი რიგი დიდი ქარხნების მშენებლობა.

პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინმა დიდი ძალღონე მოახმარა მრეწველობაში ნოვატორთა შესანიშნავი კადრების, საწარმოთა და მშენებლობათა ხელმძღვანელების აღზრდას.

ჩვენს რიგებს გამოაკლდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე მოახმარა კომუნიზმის მშენებლობის საქმისადმი თავდადებულ სამსახურს.

მშვიდობით, პავლე ალექსანდრეს-ძევ, ჩვენო ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო!

• • •

ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის მშრომელთა სახელით სიტყვა ეძლევა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ამხ. ვ. ფ. პრომისლოვს.

## ამხანაგ ვ. ფ. პრომისლოვის სიტყვა

ამხანაგებო!

უდროოდ, შემოქმედებითი ძალებით აღსავსემ, დატოვა ჩვენი რიგები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგულმა შვილმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა. ჩვენს ქვეყანაში სამშენებლო ინდუსტრიის ერთ-ერთმა გამოჩენილმა ორგანიზატორმა — სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრმა პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინმა.

ინჟინრისა და ორგანიზატორის შესანიშნავმა ნიჭმა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურმა მონაწილეობამ დააწინაურა ამხანაგი იუდინი — ტულის ქარხნის მუშა — სამშენებლო მრეწველობის ხელმძღვანელთა რიცხვში.

ამხანაგმა იუდინმა, როცა იგი მშენებლობის სახალხო კომისრის პირველი მოადგილე იყო და როცა სათავეში ედგა მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, გამოიჩინა დიდი ორგანიზატორისა და მშენებელთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის ხელმძღვანელის ნიჭი, ღრმა საინჟინრო ცოდნა და იმის უნარი, რომ მტკიცედ და ენერგიულად ვანახორციელებინა ღონისძიებანი ჩვენს ქვეყანაში სამშენებლო საქმის ძირეული გაუმჯობესებისათვის.

როგორც სპეციალისტი-მშენებელი, პავლე ალექსანდრეს-ძე გაბედულად წყვეტდა მძიმე ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი ობიექტების დაპროექტების, აღდგენისა და მშენებლობის რთულ ამოცანებს.

ამხანაგ იუდინის უშუალო ხელმძღვანელობით და უაღრესად აქტიური მონაწილეობით აშენდა ჩვენი სამშობლოს უდიდესი სამრეწველო საწარმოები.

მოსკოვში პავლე ალექსანდრეს-ძე ხელმძღვანელობდა მთელი რიგი ქარხნებისა და საწარმოების, საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და ადმინისტრაციული შენობების მშენებლობას.

ამხანაგმა იუდინმა დიდი ძალღონე და ენერგია მოახმარა მოსკოვის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის, სმოლენსკის მოედანზე ადმინისტრაციული შენობისა და მთელ რიგ სხვა ნაგებობათა მშენებლობას.

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის პოსტზე პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინის მჩქეფარე მოღვაწეობამ ბევრად შეუწყო ხელი ქალაქ მოსკოვის რეკონსტრუქციისა და მშენებლობის გენერალური გეგმის განხორციელებას.

პავლე ალექსანდრეს-ძეს დიდი დამსახურება მიუძღვის ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების ახალი მრეწველობის შექმნისა და კერამიკული მრეწველობის განვითარების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა რკინაბეტონის ნაწარმის ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ქარხნების — მოსკოვისა და ლიუბერცის ქარხნების მშენებლობა, რომლებიც ასაწყობი რკინაბეტონით უზრუნველყოფენ დედაქალაქის მშენებლობებს, კუჩინოსა და კუდინოვსკის კერამიკული ქარხნებისა და სამშენებლო ინდუსტრიის მთელი რიგი სხვა საწარმოების მშენებლობა.

პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინი დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა დედაქალაქის მშრომელთა შორის. იგი არაერთგზის იყო არჩეული მოსკოვის საბჭოს დეპუტატად.

ქალაქ მოსკოვის მშენებლები ამხანაგ იუდინს იცნობდნენ როგორც მშენებლობის ერთ-ერთ საუკეთესო ორგანიზატორს, მომთხოვნ ხელმძღვანელს, გულისხმიერ და თავმდაბალ ამხანაგს.

პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინის — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგული შვილის — ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ამხანაგო და მეგობარო!

• • •

მშენებლობის მუშაკთა სახელით გამოდის სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრი ამხ. ნ. ა. დიგაი.

## ამხანაგ ნ. ა. დიგაის სიტყვა

ამხანაგებო!

საბჭოთა სამშენებლო ინდუსტრიის მუშაკებმა დიდი დანაკლისი განიცადეს. უეცარმა სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთგული შვილი, მშენებლობის ერთ-ერთი გამოჩენილი ორგანიზატორი პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინი, რომელმაც განვლო სახელოვანი გზა რიგითი მუშიდან სსრ კავშირის მინისტრამდე.

დიდი ნებისყოფის ადამიანი, ინიციატივიანი, საქმის უსაზღვროდ ერთგული, უაღრესად განათლებული სპეციალისტი. იგი იყო ჩვენი კომუნისტური პარტიის მიერ აღზრდილი საბჭოთა ინტელიგენციის, ჭეშმარიტად სახალხო ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი.

მისთვის ჩვეული ენერგიით პავლე ალექსანდრეს-ძე მთელ თავის მდიდარ გამოცდილებას, მთელ თავის ცოდნას ახმარდა საბჭოთა სამშენებლო ინდუსტრიის განვითარების, მშენებლობასა და საშენ მასალათა წარმოებაში მოწინავე ტექნიკის დანერგვის საქმეს.

ყველას ახსოვს მისი თვალსაჩინო მუშაობა დიდი სამამულო ომის დღეებში ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში თავდაცვითი მრეწველობის მშენებლობათა ორგანიზაციის საქმეში.

იგი განსაკუთრებული ენერგიით მუშაობდა იმისათვის, რომ შეესრულებინა პარტიისა და მთავრობის დირექტივები მძიმე მრეწველობის — ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს საფუძვლის ყოველი ღონისძიებით განვითარების შესახებ.

ჩვენ მას ხშირად ვხედავდით ნოვო-ტაგილისა და მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატების, ჩელიაბინსკისა და ბაქოს მილსაგლინავი ქარხნების მშენებლობათა ხარაჩოებზე, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა მიერ დანგრეული „ზაპოროჟსტალის" და „აზოვსტალის" აღდგენაზე.

დაუღალავმა შრომამ მას მოუხვეჭა სიყვარული და პატივისცემა საბჭოთა მშენებლებში, რომლებიც მასში ხედავდნენ თავიანთ ნიჭიერ მეთაურს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ინტერესების უსაზღვროდ ერთგულ ადამიანს.

იგი ბეჯითად მუშაობდა იმისათვის, რომ შეესრულებინა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მითითებანი საშენ მასალათა მრეწველობის ყოველი ღონისძიებით განვითარებისა და ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების წარმოების ორგანიზაციის შესახებ.

სიცოცხლის უკანასკნელ დღესაც იგი აღსავსე იყო შემოქმედებითი შთანაფიქრებით, ენერგიულად და შთაგონებულად ეძებდა სამშენებლო საქმის და საშენ მასალათა წარმოების შემდგომი გაუმჯობესების გზებს.

უეცარმა სიკვდილმა შეწყვიტა პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინის მჩქეფარე საქმიანობა, და ჩვენ ამ დიდი დანაკლისით გამოწვეული მწუხარებით ვეთხოვებით მას უკანასკნელად. მშვიდობით პავლე ალექსანდრეს-ძევ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო. შენი სიცოცხლე ბრწყინვალე იყო და შენი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა მშენებლების გულში.

• • •

სამგლოვიარო მიტინგი დამთავრებულია. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ჩამოდიან მავზოლეუმის ტრიბუნიდან და ფრთხილად იღებენ ურნას. სამგლოვიარო პროცესია მიემართება კრემლის კედლისაკენ. გაისმის საარტილერიო ზალპების გრიალი. ურნას პ. ა. იუდინის ნეშტით ათავსებენ კრემლის კედლის ნიშში და ფარავენ მარმარილოს დაფით. დაფაზე ოქროს ასოებით ამოკვეთილია წარწერა:

**პავლე ალექსანდრეს-ძე იუდინი**

**19 31/V 02 — 19 10/IV 56**

გაისმის სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. მწყობრი ნაბიჯებით მავზოლეუმს ჩაუვლის ჯარებმა. (საკდესი).

# საბჭოთა ვეშაპთსანადირო ფლოტილია „სლავა" მონტევიდეოში

მონტევიდეო, 13 აპრილი. (საკდესი). შვიდ დღეს იმყოფებოდა მონტევიდეოში საბჭოთა ვეშაპთსანადირო ფლოტილია „სლავა", რომელიც ანტარქტიკიდან სამშობლოში ბრუნდება მეათე ყოველწლიური სარეწაო რეისის შემდეგ. ფლოტილიის ყოფნამ მონტევიდეოს მოსახლეობის უდიდესი ინტერესი გამოიწვია და ადგილობრივი პრესის ყურადღების ცენტრში იყო. ურუგვაის დედაქალაქის ათეულ ათასობით მცხოვრები იყო ნავსადგურში, რათა დაენახა ვეშაპთსანადირო გემები და გასცნობოდა მათს ეკიპაჟებს. მაგრამ ნავსადგურის ხელისუფალთა მხრივ შეზღუდვის გამო მხოლოდ ასეულებმა მოახერხეს ენახათ საფლაგმანო ხომალდი-ქარხანა. მნახველთა შორის იყვნენ ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენლები, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეები, მრეწველები და კომერსანტები, სასპორტო წრეებისა და მრავალი ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მონტევიდეოს ათასობით მცხოვრებმა ფლოტილია დაათვალიერა კატერებიდან, რომლებიც განუწყვეტლივ დადიოდნენ ვეშაპთსანადირო გემების ახლოს.

გაზეთები ყოველდღე აქვეყნებდნენ ვრცელ სტატიებს საბჭოთა ვეშაპთმონადირეების წარმატებაზე, რეწვის პირობებზე, მეცნიერულ მუშაობაზე, რასაც ფლოტილიის პერსონალი აწარმოებდა, ათავსებდნენ გემების, ვეშაპთმონადირეების, ფლოტილიის მეზღვაურების, ქარხნის მუშების ფოტოსურათებს.

ფლოტილია „სლავასთან" ერთად მონტევიდეოს ნავსადგურში იმყოფებოდა ამერიკის ყინულმჭრელი „გლესიერი", რომელიც ანტარქტიკიდან ბრუნდება. ეკიპაჟებს შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა. საბჭოთა ვეშაპთმონადირეები იყვნენ ამერიკის ყინულმჭრელზე, გაიცნეს ეკიპაჟის მუშაობის პირობები, ნახეს მეცნიერულ-დოკუმენტალური ფილმი ანტარქტიკაში ყინულმჭრელის ლაშქრობის შესახებ. თავაზიანობის ვიზიტით საფლაგმანო ხომალდი-ქარხანა „სლავა" ნახეს ამერიკის ყინულმჭრელის მეზღვაურებმა მეთაურის დუფეკის მეთაურობით. მათ გაიცნეს საბჭოთა მეზღვაურების ცხოვრება, ექსპონატები, რომლებიც ვეშაპთმონადირეებმა დაამზადეს ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისათვის, უნივერსიტეტებისათვის, მუზეუმებისა და ზოოლოგიური ბაღებისათვის. საბჭოთა მეზღვაურებმა ამერიკელებს აჩუქეს საბჭოთა კავშირში დამზადებული წყალქვეშა ვი ფეხსაცმლის ნიმუშები, აგრეთვე გადასცეს მთელი რიგი ექსპონატები თვალსაჩინო ამერიკელი მეცნიერის რემინგტონ კელოგისათვის. ხომალდების კაპიტნებმა საჩუქრები უძღვნეს ერთმანეთს. ამერიკელმა მეზღვაურებმა დიდი ინტერესით ნახეს ფილმი საბჭოთა ვეშაპთმონადირეების შესახებ. „სლავას" და ყინულმჭრელ „გლესიერის" მეგობრული ვიზიტი კინოოპერატორებმა გადაიღეს ამერიკის ტელევიზიისათვის.

მონტევიდეოში ყოფნის დროს საბჭოთა ვეშაპთმონადირეებმა გაიცნეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ურუგვაი-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტში.

საზეიმო ვითარებაში, ურუგვაის ეროვნული გვარდიის ჩამწკრივებულ საპატიო ყარაულთან ფლოტილია „სლავას" კაპიტან-დირექტორმა სოციალისტური შრომის გმირმა ა. ნ. სოლიანიკმა გვირგვინით შეამკო ურუგვაის ეროვნული გმირის ხოსე არტიგასის ძეგლი.

12 აპრილს ვეშაპთსანადირო ფლოტილია მონტევიდეოდან ოდესაში გაემგზავრა. გზაში იგი აწარმოებს თევზის საცდელ ჭერას ატლანტიკის ოკეანეში, ეკვატორის რაიონში.

# იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია

რომი, 13 აპრილი. (საკდესი). იტალიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც ამას წინათ გაიმართა, მიიღო რეზოლუცია, სადაც მოცემულია იტალიის საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკური მდგომარეობის შეფასება მომავალი მუნიციპალური არჩევნების წინ. რეზოლუციაში გაკრიტიკებული არიან მთავრობის კოალიციის პარტიები იმის გამო, რომ ისინი „უძრაობას იჩენენ როგორც ეკონომიურ, ისე სოციალურ დარგში" და „არ ითვალისწინებენ, რომ ცივი ომის პერიოდი უკვე მთავრდება".

შემდეგ, რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ „კონკრეტული და დადებითი ბიძგი მისცა მშვიდობიანი თანაარსებობის და დაძაბულობის შენელების საერთაშორისო პოლიტიკის განვითარებას".

პლენუმი გამოთქვამს აზრს, რომ „დასავლეთში ვლინდება ანალოგიური ტენდენციები, კერძოდ, ლეიბორისტულ პარტიასა და ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში".

„ამასთან დაკავშირებით, — ნათქვამია რეზოლუციაში, — ყოველ ნაბიჯზე იქმნება იმის ობიექტური შესაძლებლობა, რომ ყველა ქვეყნის სოციალისტებმა შეთანხმებულად იმოქმედონ განიარაღებისათვის, გერმანიის გაერთიანებისათვის ბრძოლაში, ევროპისა და მთელი მსოფლიოს კოლექტიური უშიშროების ბაზაზე მშვიდობის დამყარებისათვის ბრძოლაში".

დასასრულ რეზოლუცია მოუწოდებს იტალიელ ამომრჩევლებს მომავალი არჩევნების მსვლელობაში „მოიპოვონ ხალხისათვის ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოები, რათა გახადონ ისინი ქმედითი მართვის ნიმუშად და გადააქციონ მარცხნივ გადახრისათვის კონკრეტული ბრძოლის შტაბებად".

# საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებანი ალჟირის საკითხზე

პარიზი, 12 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა დეკრეტი რამდენიმე კატეგორიის რეზერვისტების მობილიზაციის შესახებ. რომლებიც ალჟირში უნდა გაიგზავნონ. მობილიზაცია ეხება 200 ათას კაცს, აქედან 80 ათასი გაწვეული იქნება პირველ რიგში. მობილიზაცია ვრცელდება აგრეთვე თადარიგის ოფიცრებსა და უნტერ-ოფიცრებზე.

მინისტრთა საბჭომ შემდეგ გადაწყვიტა დაშალოს ალჟირის კრება (არჩევითი ორგანო, რომელიც საკონსულტაციო ფუნქციებს ასრულებდა გენერალ-გუბერნატორთან). კრების მთელი უფლებები გადაეცემა ლაკოსტს — „მინისტრს, რომელსაც რეზიდენცია ექნება ალჟირში". მოწონებულია აგრეთვე დეკრეტი აგრარული რეფორმის შესახებ ალჟირში. ამ დეკრეტის შესაბამისად ლაკოსტს შესაძლებლობა ექნება მოახდინოს იმ კოლონისტების სარწყავი მიწების ნაწილობრივი ექსპროპრიაცია, რომლებსაც 50 ჰექტარზე მეტი მიწა აქვთ.

მემარჯვენე გაზეთები, კერძოდ „ფიგარო", დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებას რეზერვისტების მობილიზაციის შესახებ. დემოკრატიული პრესის ეს გადაწყვეტილება მიაჩნია მთავრობის დათმობად კოლონიზატორული ელემენტებისადმი. გაზეთ „ლიბერასიონის" აზრით, „მინისტრებმა დაუთმეს პარლამენტის მემარჯვენე ფრთის ზეგავლენას".

გაზეთმა „ლუმანიტემ" გამოაქვეყნა ანდრე სტილის სტატია, რომელშიც ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კოლონიალისტებს და ძალის პოლიტიკის მომხრეებს აჩარებთ გადაწყვეტილებანი სამხედრო ღონისძიებათა შესახებ ალჟირში. სტილი მოუწოდებს ფრანგ ხალხს გააჩაღოს ბრძოლა ალჟირის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის.

როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, ეს ბრძოლა დღითიდღე უფრო ფართოვდება. ბევრ სამრეწველო საწარმოში მუშები ხანმოკლე გაფიცვებს აწყობენ იმ მოთხოვნების მხარდასაჭერად, რომ ალჟირში აღადგინონ მშვიდობა. „ლუმანიტე" იუწყება, რომ გუშინდელი დღის განმავლობაში მარტო პარიზის რაიონის შვიდ საწარმოში შეწყდა მუშაობა. ბევრ შემთხვევაში კომუნისტები და სოციალისტები ერთად გამოდიან ალჟირში მშვიდობის პოლიტიკის მხარდასაჭერად. ბევრი დელეგაცია მიდის მინისტრთა საბჭოში, რათა გადასცენ მშრომელთა მოთხოვნები ალჟირის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ.

## დისერტაციების დაცვა

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი**

(ძერჟინსკის ქ. № 8)

1956 წლის 24 აპრილს დილის 11 საათზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს

**რუსუდან ალექსანდრეს ასული ქუსრაშვილი**

თემაზე: „დავით გურამიშვილის ლექსიკა".

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი**

(მელიქიშვილის ქ. № 10)

ა. წ. 24 აპრილს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად

**ნიკოლოზ იოსების-ძე შუბლაძე**

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Материалы к дальнейшему изучению центральных влияний на раздражимость нервно-мышечного аппарата в клинике".

ა. წ. 26 აპრილს დღის 3 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს:

**ნიკოლოზ ზაქარიას-ძე ფირადაშვილი**

თემაზე: „Функциональные особенности кроветворения при многократных кровопусканиях и переливаниях крови после столкновения пищевого и оборонительного рефлексов".

მოქალაქე მაყვალა ანდროს ასულმა ხანთაძემ, მცხოვრებმა თბილისში ლიბკნეხტის ქ. № 10, აღძრა საქმე გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში მცხოვრებ მოქალაქე დურმიშხან მიხეილის-ძე ჩეკურიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს კალინინის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

## დღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — რიგოლეტო, რუსთაველის სახელობის — ნ. ბარათაშვილი, მარჯანიშვილის სახელობის — რას იტყვის ხალხი, გრიბოედოვის სახელობის — ხევისბერი გოჩა, სომხური დრამის — სამეული, მუსიკალური კომედიის — ლალი ქარი, მოზარდ მაყურებელთა ქართული—ერთ სკოლაში (აბონემენტის გარეშე, 8 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — კრაზანა (6 ს.).

**კინოთეატრებში**

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — მექსიკელი, 26 კომისრის სახელობის, კომკავშირელი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი — ბრძოლა ველზე; კოლხიდა, კოლმეურნე, კიროვის სახელობის პარკი — ოტელო, დიდუბე — ჟირი კაპიტანი, ოფიცერთა სახლი — გზები და ბედი, გორკის სახელობის კულტურის სახლი — რუმიანცევის საქმე.

მეუღლე ანეტა მაისურაძე, შვილები ნინო, სიმონ, ვამიკო, რძალი თამარ, სიძე აკაკი შარაშენიძე ოჯახებით იუწყებიან

**დავით სიმონის-ძე გვილავას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-IV, 6 ს. ქ. ქუთაისში. გამოსვენება ათარბეგოვის ქ. № 11.

მეუღლე ზურაბ, შვილები დიმიტრი, ელენე, ლუარსაბ, სიძე გიორგი გელაშვილი იუწყებიან

**ბარბარე მიხეილის ასულ გიორგიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14-IV, 8 ს. გამოსვენება 15-IV, 4 ს. მარჯანიშვილის ქ. № 20.

მეუღლე ვანო, შვილები ჯულიეტა, ნათელა, მშობლები მაშო, არტემ, დები ეთერ, ნონა, ძმა გიორგი ოჯახებით იუწყებიან

**ქსენია არტემის ასულ რუხაძე-გუჯაბიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-IV, 8 ს. გამოსვენება 17-IV, 5 ს. ზესტაფონის ქ. № 16.



თბილისის შოკოლადის ფაბრიკის კოლექტივი ყოველდღიურად ასობით კილოგრამ მაღალი ხარისხის შოკოლადის კანფეტს აწვდის ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებს. აქ დამზადებული კანფეტი ფართოდ არის ცნობილი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. პირველ კვარტალში ფაბრიკის კოლექტივმა კარგად იმუშავა და გეგმის გადამეტებით დიდძალი შოკოლადი გამოუშვა. მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს უფროსმა ბრიგადირმა ნ. გუსევამ და ბრიგადირმა ნ. ცატუროვამ.

სურათზე: უფროსი ბრიგადირი ნ. გუსევა (მარჯვნივ) დავალებას აძლევს ბრიგადირ ნ. ცატუროვას.

ფოტო შ. გოქაძისა.

★

## სსრ კავშირის პირველობაზე

**„ა" კლასი**

სტალინო, 13 აპრილი. აქ გაიმართა სსრ კავშირის XVIII ჩემპიონატის მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ დედაქალაქის „სპარტაკისა" და სტალინოს „შახტიორის" გუნდები. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა ანგარიშით 5:0.

## ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

დამთავრდა საქართველოს ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის პირველი ნახევარი. ამ შეჯიბრებაში გამოცდილ მოჭადრაკეებთან ერთად წარმატებით იბრძვიან ახალგაზრდები. ამას პირველ რიგში ცხადყოფს 14 წლის მოსწავლე გოგონას გაფრინდაშვილის წარმატება, რომელმაც 8 პარტიიდან რვავე მოიგო და ჩემპიონატის პირველი დღეებიდანვე ლიდერი გახდა.

12 აპრილს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. სტატნიკოვა რამდენიმე სვლის შემდეგ დანებდა გაფრინდაშვილს, იგნატიევამ მოუგო ბუცხრიკიძეს.

გუშინ გაიმართა მეცხრე ტური. ყურადღების ცენტრში იდგა გაფრინდაშვილისა და ტოგონიძის პარტია. ამ საინტერესო შეხვედრაში გაიმარჯვა გაფრინდაშვილმა. ამავე ტურში კაკაბაძემ მოუგო გოგიავას, ბერსკაიამ — მანველოვას, ვოიციკამ — ნაჭყებიას. ლოლიშვილისა ბუცხრიკიძის პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

9 ტურის შემდეგ ლიდერად კვლავ გაფრინდაშვილი ითვლება, რომელსაც 9 ქულა აქვს.

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

მეუღლე მარო, შვილები ლილი, ეთერ, სიძე გრიგოლ ფოფხაძე ოჯახით იუწყებიან

**ილარიონ სიმონის-ძე კლარჯეიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14-IV, 8 ს. გამოსვენება 15-IV, 2 ს. კრილოვის ქ. № 13.

მეუღლე ქეთევან, შვილები ფირან, თენგიზ, ძმა ლევან ოჯახით იუწყებიან

**ალექსანდრე (შურა) ვლადიმერის-ძე ჯორჯაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14-IV, 8 ს. გამოსვენება 15-IV, 5 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 118.

შვილები დევი, მარიამ, ლილი, ნინო, რძალი ნინო, სიძე შალვა ციციშვილი ოჯახებით იუწყებიან

**ალექსანდრე ილიას-ძე ანანიაშვილის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 14-IV, 5 ს. ჯანაშიას ქ. № 3.

მეუღლე მათიკო, შვილი მანანა, სიძე თორნიკე ჩხეიძე იუწყებიან

**ლევან კონსტანტინეს-ძე შენგელაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15, 16-IV, 8 ს. გამოსვენება 17-IV, 5 ს. ენგელსის ქ. № 18.

მეუღლე დესპინე, შვილები ლაკონი, კორნელი იუწყებიან

**ვალერიან ივანეს-ძე ხუროძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14-IV, 8 ს. გამოსვენება 15-IV, 3 ს. ორჯონიკიძის ჩიხი № 5.

მეუღლე ანა, შვილი მიხეილ, რძალი კასანია ოჯახით იუწყებიან

**დიმიტრი ქრისტეფორეს-ძე გაბიჩვაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14-IV 8 ს. გამოსვენება 15-IV, 4 ს. ბაღდადის ქ. № 13.

მეუღლე ანა, შვილები ვასო, სიკო, რიმა, რძლები შუშანა, ქეთია, პაშა, სიძე გ. მიქაბერიძე ოჯახებით იუწყებიან

**სტეფანე გრიგოლის-ძე ჯოლბორდის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-IV, 4 ს. ბორჯომში.

დედა ოლია, შვილი გიორგი მეფარიშვილი, ძმა ალექსანდრე, რძალი თამარ ოჯახებით იუწყებიან

**ზინაიდა ირაკლის ასულ ლომინაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-IV დვაბზუში (მახარაძის რ.).



პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14